პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

[illegible] ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., ზ., წ.-არმ. და კავ.რუსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

127 ხუთშაბათი, 8 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი
ხუთშაბათი, 8 ივნისი 1922 წ.
№ 127
ეროვნული [illegible]

## კაპიტალის შეტევა და მუშათა ერთიანი ფრონტის გზით

საერთაშორისო კაპიტალიზმის შეტევა მუშათა კლასზე ამ უკანასკნელის ეკონომიური მდგომარეობის კიდევ უფრო გასაუარესებლათ და თავისი დანგრეული ორგანიზმის გამოსამართელებლათ კიდევ გრძელდება. ის უცერემონიოთ და სრულიად უშიშრათ ავიწროვებს მუშათა მასსებს და არავითარ ზომებსა და საშვალებებს არ ერიდება თავისი უკვე დრომოჭმული მიზნების განსახორციელებლათ.

თუ წინეთ თვით მუშები უყენებდენ კაპიტალისტებს სხვა და სხვა გვარ მოთხოვნილებებს თავიანთი უწეო მდგომარეობის, და განსაკუთრებით კი ეკონომიურის, გასაუმჯობესებლათ, რათა თავი დაეღწიათ პირდაპირ ფიზიკურ გადაგვარებისა და გადაშენებისაგან, და ამისათვის მიმართავდენ მათ ხელში მყოფ ისეთ ძლიერ იარაღს, როგორიცაა გაფიცვა, დღეს თვით აღვირ ახსნილი კაპიტალისტები უყენებენ მუშებს მოთხოვნილებებს და ემუქრებიან ისეთი ზომით, როგორიცაა ლოკაუტი და მუშების ულუკმაპუროთ ქუჩაში გამოყრა.

მუშები მშვენივრათ გრძნობდენ და თავის თვალებითაც ხედავდენ, თუ როგორ მუხანათურათ გამოილაშქრეს მყვლეფელებმა და მჩაგვრელებმა მათ წინაალმდეგ გაერთიანებულ ფრონტით, და გადასწყვიტეს მჭიდროთ გაერთიანებულიყვენ, მიუხედავათ პარტიული რწმენისა და მიმართულებისა, რათა მჭიდრო ერთიანი მტკიცე რიგებით თავი დაეცვათ და შეენარჩუნებიათ წლობით ნაწარმოები, თავდადებული ბრძოლით მოპოვებული ეკონომიური და პოლიტიკური [illegible]

[illegible]

სადაც დაესწრენ ბრიტანეთის მუშათა პარტიის (მეორე ინტერნაციონალი), ბელგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მეორე ინტერნაციონალი) და საფრანგეთის სოციალისტური პარტიის (ორ ნახევარი ინტერნაციონალი) წარმომადგენლები, იმის მაგიერათ, რომ ეცნოთ აუცილებელ საჭიროთ სრული მუშათა კონგრესის მოწვევა, ალიარეს, რომ იმპერიალისტების მოთხოვნილება რეპარაციების შესახებ მორალურათ და ეკონომიურათ დასაბუთებულიაო, ე. ი. ფაქტიურათ აშკარათ იცავენ ვერსალის „საზავო" ხელშეკრულებას.

მათი ასეთი ვერაგული და გამცემლური ქცევა საუკეთესო პასუხია მუშათა მასების მოთხოვნილებაზე—გაერთიანდენ ყველა პარტიები გამოლაშქრებულ საერთაშორისო კაპიტალისაგან მუშათა კლასის დასაცავათ.

თუ წინედ მუშებს კიდევ სჯეროდათ რაიმე ამ ვაჟბატონების, დღეს ისინი სულ ერთიანათ აიხილავენ თვალებს და დარწმუნდებიან აშკარათ, თუ როგორ ღალატობენ და მუხანათურათ ლახვარს სცემენ ზურგში მათ შეტევაზე გადმოსულ კაპიტალთან სასტიკ ბრძოლის დროს.

მაგრამ მუშათა ერთიანი ფრონტი საერთაშორისო კაპიტალის ერთიანი ფრონტისათვის დასაპირდაპირებლათ მაინც უნდა განხორციელდეს რაც არ უნდა იყოს, და უნდა განხორციელდეს მიუხედავათ და წინაალმდეგ მეორე და ორ ნახევარი ინტერნაციონალის ბელადების სურვილისა. ამას უკარნახებს მუშებს ის გარემოება, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო უტევს მუშათა კლასს და ლამობს ჩააგდოს ის გადაგვარებისა [illegible]

[illegible]

ს. ანდრიაძე.

## პარტიული მუშაობა სოფლად

[illegible]

სუსტია. სოფლის და თემის იაჩეიკების პასუხისმგებელი მდივნები ვერ არიან შესაფერისად მომზადებულნი, დანარჩენ წევრებზე ლაპარაკიც ზედმეტია. იაჩეიკების შემადგენლობა გლეხურია, და მათ ნაკლები წარმოდგენა აქვთ თავიანთ პარტიულ მოვალეობებზე; ისინი ჯერ კიდევ შორს არიან კომუნისტური შემეცნებისა და პსიქოლოგიიდან. მათი წარმოდგენები, ზნე-ჩვეულება, ყოფა ქცევა ძალიან არ არის დაშორებული დანარჩენ მეშჩანურ, წვრილ ბურჟუაზიულ მოსახლეობის ასეთივესაგან, ასეთ პირობებში განა შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი რაიმე პარტიულ-პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობაზე სოფლის ორგანიზაციებში! იაჩეიკების წევრები არ იკრიბებიან სისტემატიურად, ხან და ხან მოიყრიან თავს, უფრო უბრალო ლაპარიკში ატარებენ დროს, ვინემ პარტიულ მუშაობაში, რომლისთვისაც მათ ძალა არ შესწევთ ხელმძღვანელის დაუხმარებლად.

ასეთ მდგომარეობის დატოვება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის ორგანიზაციების გაჯანსაღებას, ჩვენი პროვინციელი ამხანაგების გათვითცნობიერებას, მომზადებას.

როგორ შეგვიძლია ამ მიზანს მივაღწიოთ?

პირველ ყოვლისა, თანახმად პარტიის მე-11 ყრილობის დადგენილებისა, ჩვენ უნდა გავხსნათ მაზრებში პარტიული სკოლები (რაიონული ტიპისა) თუ კურსები, რომელნიც მოამზადებენ თემის თუ სოფლის მაშტაბით მომუშავე ამხანაგებს. დღემდე ცენტრალური პარტსკოლა დამთავრებული და პროვინციაში გაგზავნილი ამხანაგები ოდნავადაც არ არიან საკმარისი ყველა თემებისათვის. აუცილებელია, რომ თითეულ იაჩეიკას ჯერჯერობით მდივანი მაინც ყავდეს ისეთი, რომელიც თვითონ გასწევს ჩვეულებრივ პარტიულ მუშაობას. ამისათვის კი საჭიროა ამხანაგების საკმაო რაოდენობა, რომლების მომზადება შესაძლებელია პარტიულ სკოლების საშვალებით. ასეთი სკოლების სახელმძღვანელოთ ადგილობრივათ ძალები მოიპოვებიან და ცენტრიდანაც თუ მივაშველებთ თითო ოროლა ამხანაგს, საქმე ამ მხრივ არ დაბრკოლდება.

მეორე, პროვინციისათვის მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც უეჭველად უნდა მოგვარდეს, თუ გვინდა პარტიული მუშაობა დაიხძრეს გაყინულ წერტილიდან და ასე თუ ისე ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს, ესაა მიმოსვლის საქმე. როგორც ვთქვით, პარტიულ ორგანიზაციებს არავითარი მიმოსვლის საშუალებანი არ გააჩნიათ, ასეთი ნაკლებათ ან სულ არ მოიპოვებათ აღმასკომებსაც. სამაზრო და რაიონული პარტიული კომიტეტები აგრეთვე ინსტრუქტორ ორგანიზატორები მოკლებული არიან საშუალებას ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობას, ხელმძღვანელობა და რევიზია გაუწიონ. პასუხისმგებელი ამხანაგები, უნდა ითქვას მათ სასახელოდ, თავს არ ზოგავენ და ქვეითად დაიარებიან შორეულ თემებში, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს, და მათ ფიზიკურ შესაძლებლობასა და გამძლეობასაც.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ მუდმივ სიარულში ფეხსაცმელები უცვდებათ, ცენტრი ვერ აწვდის ასეთების საკმაო რაოდენობას, ჩვენი ამხანაგები ასეთებს უსახსრობის გამო თვითონ ვერ იძენენ, და ფეხშიშველნი ხომ ვერ ივლიან ისინი, ამიტომაც ხდება, რომ არიან ისეთი იაჩეიკები, რომელნიც თვეობით ვერ იხილავენ პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს, და მუშაობაც იქ არავითარი არ წარმოებს.

გაძნელებულია არა მარტო უშუალო მიმოსვლა, ტელეფონით და ტელეგრაფითაც კავშირის დაჭერა თემებთან. ახალ ეკონომიურ პოლიტიკას აქაც მოუხდენია თავისი გავლენა. საქმე ის არის, რომ უფასოდ ან ნისიად არც დეპეშის და ტელეფონოგრამის გადაცემა, არც ტელეფონით დალაპარაკება პარტკომებს არ შეუძლიათ. ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ საჭიროა პარტკომმა სწრაფად მისცეს ადგილობრივ ორგანიზაციას ინსტრუქცია-დარიგება სწორედ ტელეფონის საშუალებით, ან რაიმე საყურადღებო ცნობა თუ განკარგულება გადასცეს. ამისათვის კი მას ნაღდ ანგარიშს სთხოვენ. პარტკომს სამისო საშუალება არ გააჩნია, და საქმეც დიდად ფერხდება.

უფრო მწვავედ დგას პარტიული მუშაკების ნივთიერ უზრუნველყოფის საკითხი. მთელი თვეობით ვერ ღებულობენ იმ მცირე გასამრჯელოს და ულუფას, რომელიც ეკუთვნით. ამხანაგები პირდაპირ შიმშილობენ. დამეთანხმებით, რომ მშიერი კუჭით არამც თუ ნაყოფიერი, არავითარი მუშაობა არ არის შესაძლებელი.

ამგვარად, მაზრებში პარტიული სკოლების გახსნა ამხანაგების მოსამზადებლად, რომელნიც შემდეგ სოფლის ორგანიზაციებს, იაჩეიკებს მოედებიან და მათ ხელმძღვანელობას გაუწევენ; გადასაზიდ საშუალებათა გამონახვა პარტკომებისათვის, რომ შესაძლებელი იყოს პასუხისმგებელ ამხანაგების მიერ ხშირი და სისტემატიური ჩამოვლა იაჩეიკების; ამავე ამხანაგების უზრუნველყოფა ფეხსაცმელით და ტანისამოსით, [illegible] გასამრჯელოს და ულუფის დროზე დარიგება; სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის გაადვილება და ამ მიზნით შეთანხმება ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატთან ან საგანგებო თანხის გადადება—აი ზოგიერთი მთავარი საშუალება, რომლებიცაც შესაძლებელია პარტიულ მუშაობის გამოცოცხლება ადგილობრივად.

დღემდე ჩვენ, უნდა ვთქვათ გულახდილად, სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით პროვინციაში პარტიულ მუშაობას. საქმე იქ ოდნავათაც არ არი დამაკმაყოფილებლად დაყენებული, რაც დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენს პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას და მთელი მუშათა კლასის საქმეს.

განსაკუთრებული ყურადღება პროვინციულ ორგანიზაციებს, მეტი მზრუნველობის გამოჩენა მათდამი—უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგი. ამისათვის ჩვენ დაგვჭირდება საკმაო ძალების გაგზავნა ცენტრიდან, მეტი რესურსების გაღებაც. მაგრამ საქმე იმდენად მნიშვნელოვანია და მდგომარეობა კი სავალალო, რომ ჩვენ არაფერი არ უნდა დავიშუროთ, რათა პარტიული ცხოვრება ადგილობრივად შესაფერ კალაპოტში ჩავაყენოთ.

გ. ქ.

## ნარევი

### იაპონია, ჩინეთის ბაზარი და სამოქალაქო ომი.

სამოქალაქო ომმა ჩინეთში მიიღო ფართო ხასიათი. ფაქტიურათ იბრძვის ორი კაპიტალისტური გაერთიანება. ერთის სათავეში დგას ტჩანგ-ძო-ლინ, მანჯურიის გენერალ-გუბერნატორი, მეორეს სათავეში—ვუ პეი ფუ, ჩინეთის ცენტრალური პროვინციების გენერალ გუბერნატორი. ბრძოლა პეკინის კარებსაც მოუახლოვდა და სულ უფრო და უფრო სისხლის მღვრელი ხდება.

ვაშინგტონის კონფერენციაზე იაპონიის, ამერიკის და ინგლისის გამოცდილ დიპლომატიურ წარმომადგენელთა ბრძოლა სწარმოებდა ჩინეთის საკითხის გარშემო, იმ ჩინეთის, რომელიც უზარ-მაზარი ბაზარია საქონლის გასასაღებლად. გაუქმებულ იქნა ინგლის-იაპონიის კავშირი. მის მაგივრათ შექმნილ იქნა ოთხთა კავშირი, რომელშიაც შევიდენ: ინგლისი, იაპონია, ამერიკა და საფრანგეთი. ამით აუცილებელი კონფლიქტი და სისხლის მღვრელი ომი იაპონიასა და ამერიკის შორის დროებით უკან მოექცა, და თუმცა გარეგნულათ ყველაფერი, ვითომც შელესილ იქნა ლამაზი ფრაზებით მშვიდობა მოყვარეობასა, ადამიანობასა და სხვ. შესახებ, და თითქმის შეთანხმდენ კიდევაც შეიარაღების შემცირებაზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა არსებული წინაალმდეგობანი ამოწურული არ იქნენ და არც შეიძლებოდა ყოფილიყვენ. ამის დასამტკიცებელ საბუთის ნახვა ადვილათ შეიძლება იმ სამოქალაქო ომში, რომელიც სწარმოებს ახლა ჩინეთში.

სისხლს ღვრიან ამ ბრძოლაში ჩინეთის ხალხის მასები. ხელმძღვანელობენ ამ ბრძოლას,—ერთი მხრით იაპონია, მეორე მხრით,—ამერიკა. კონსტიტუციონური მონარქისტი და ჩინეთის გამოჩენილი კაპიტალისტი ტჩანგ-ძო-ლინი, მოსამსახურეა, და ამიტომ მეგობარიც, იაპონიის. მას ხელს უწყობს იაპონიის პარტია ჩინეთში „უნხუ". ვუ-პეი-ფუ რესპუბლიკანელია, ისიც აგრეთვე გამოჩენილი კაპიტალისტია, მაგრამ მოსამსახურე და ამიტომ მეგობარიც ამერიკის. იარაღს, ფულს და ყველა აუცილებელ საჭირო მასალებს სამოქალაქო ომის გასაღრმავებლათ, ღებულობს ის თავის ხაზეინისაგან,—„მშვიდობა-მოყვარე" ამერიკის კაპიტალისაგან. რომელმა ჯგუფმაც არ უნდა გაიმარჯვოს, ომის მთელი სიმძიმე თავზე დააწვება ბოლოს და ბოლოს ჩინეთის მშრომელთა ელემენტებს.

ეს კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, თუ როგორ აწყობენ იმპერიალისტური სახელმწიფონი მსოფლიო მეურნეობას.

ა. ხტოკლიცკი.

(„ეკონო-ჩესკია ჟიზნ" № 113).

## რადიო-დეპეშები

### ჰააგის თათბირის შესახებ

**იტალიის წარმომადგენლობა.**

**ბორდო.** 24 მაისი. გაზეთ „მატენის" ცნობით, იტალიის წარმომადგენლათ ჰააგის თათბირზე იქნება ბარონი ავეცანნა.

**ბელგია არ ხთმობს.**

**ლონდონი.** 24 მაისი. გენუის ბელგიის დელეგაციის ყოფილმა მეთაურმა ჟასპარმა ბელგიის პარლამენტში ჰააგის თათბირის შესახებ განაცხადა: არც ერთი სახელმწიფო არ იცნობს რუსეთის მთავრობას მანამდის, სანამ იგი არ მიიღებს მისთვის წაყენებულ პირობებს. ბელგიის წარმომადგენლები მხოლოდ იმ შემთხვევაში წავლენ ჰააგაში, თუ რუსეთის მთავრობა იცნობს კერძო საკუთრებას.

**საფრანგეთის პოზიცია.**

**ლონდონი.** 24 მაისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გრძელდება განხილვა მთავრობის საგარეო პოლიტიკისა. დეპუტატ ტარლემ პუანკარეს პოზიცია დაახასიათა, როგორც სუსტი და კომპრომისული. დასასრულ ტარლემ განაცხადა: საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს მონაწილეობას ჰააგის კონფერენციაში. პუანკარემ შეაწყვეტინა სიტყვა ტარლეს შემდეგი სიტყვებით: ჰააგაში მონაწილეობის საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. საფრანგეთის მთავრობა გადასწყვეტს ამ საკითხს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც დეპუტატთა პალატა გამოსთქვამს თავის აზრს მთავრობის მიერ გენუაში წარმოებული პოლიტიკის შესახებ. თვით საკითხი საფრანგეთის წარმომადგენლების ჰააგაში გაგზავნისა პრინციპიალურათ უნდა გადასწყვიტოს დეპუტატთა პალატამ.

**რომი.** 5 ივნისი (რადიო). საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 484 ხმის უმრავლესობით წინაალმდეგ 106 ხმისა ნდობა გამოუცხადა პუანკარეს კაბინეტს, საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკისა და გენუის კონფერენციაზე წარმოებულ პოლიტიკის დაწვრილებით განხილვის შემდეგ.

**კავშირი რუსეთთან.**

**პარიზი.** 24 მაისი. გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" იტყობინება ინგლისელ რუსეთის კრედიტორების კავშირის სხდომის შესახებ, რომელმაც, ლოიდ ჯორჯის მიერ ევროპის აღდგენის საკითხში დაკავებული პოზიციის განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: კავშირი ესალმება რუსეთის მიერ გენუის კონფერენციაზე მიღებულ კონტაქტს უცხოელ სახელმწიფოებთან. კავშირი ყოველი ღონით დაეხმარება ჰააგის თათბირის მუშაობას, რათა შესაძლებელი გახდეს საქმიანი ხასიათის შეთანხმების ჩამოგდება და რუსეთის მრეწველობისა და ფინანსების პრობლემის პრაქტიკულათ გადაჭრა, რუსეთისა და ინგლისის ვაჭრობის ურთიერთი გარანტიების საფუძველზე. გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავს, რომ ამ რეზოლიუციას შეუძლია განამტკიცოს ლოიდ ჯორჯის პოზიცია.

**ამერიკის პოზიცია.**

**ვაშინგტონი.** 24 მაისი. გაზეთი „ნიუ იორკ გერალდი" გადმოქვცემს ვანდერლინის სიტყვებს, რომ გენუის კონფერენციამ ვერ გაიგო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პირობები ევროპის ეკონომიური აღდგენისა. ვანდერლინს, ამერიკის პოზიცია რუსეთის მიმართ, მიაჩნია ლოღიკურად, მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ ეს ლოღიკა ძალიან შორს მიდის.

**ჰანოვერი.** 23 მაისი გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი" იუწყება: ვაშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, ამერიკის რწმუნებულს ჰააგაში ზიუსდორფს დაევალა, დაესწროს ჰააგის თათბირს, როგორც თვალყურის მდევნებელი გაზეთი ამას უმატებს: თუ მოკავშირენი გადასწყვეტენ გააგზავნონ რუსეთში კომისია გამოძიებისათვის, მაშინ ამერიკა უფრო ენერგიულ მონაწილეობას მიიღებდა ჰააგის კომისიის მუშაობაში.

**ლონდონი.** 26 მაისი. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა, რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა: ამერიკის მთავრობას აუცილებლათ მიაჩნია, რუსეთის საკითხში სანამ რაიმე გარკვეულ ნაბიჯს გადასდგამდეს, დაწვრილებით გამოიკვლიოს საქმის ნამდვილი მდგომარეობა რუსეთში. ჩვენ, მეორეს მხრით,—აღნიშნა შანცერმა,—გენუაში უკვე დავიწყეთ მოლაპარაკება რუსეთთან ძველ ურთიერთობათა ლიკვიდაციისათვის და ახალის დაწესებისათვის. ეს მოლაპარაკება გაგრძელდება ჰააგაში. ევროპაში უფრო ცხადათ, ვინემ ამერიკაში, სცნობენ აუცილებელ საჭიროებას რუსეთის პრობლემის დაჩქარებით და დამაკმაყოფილებლათ გადაჭრისას. ევროპაში უფრო ნათლათ გრძნობენ, რაც შეიძლება საჩქაროთ მიეცეს რუსეთს ის ადგილი, რომელიც მან უნდა დაიჭიროს ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში. წინაალმდეგ ამერიკისა, სთქვა შანცერმა,—ჩვენ არ ვსცნობთ შესაძლებლათ რუსეთის საკითხის გადაწყვეტის გადადებას, ხელ ახალი მოსამზადებული გამოძიების გზებით. საერთოდ ჩვენ უკვე ვიცნობთ რუსეთში არსებულ პირობებს და იმ აუცილებელ ზომებსაც, რომელნიც ამ პირობების მიხედვით უნდა იქნენ მიღებულნი. ძალიან საეჭვოა ვიფიქროთ, რომ ამერიკა შესცვლის თავის პოზიციას იმ მცირე დროის განმავლობაში, რაც დარჩა ჰააგის კომისიის მუშაობის დაწყებამდე. მიუხედავათ ამისა მე დარწმუნებული ვარ, რომ ჰააგის თათბირის მუშაობის შედეგები გზას გაუხსნის ამერიკას ჩვენთან თანამშრომლობისათვის. მე ვფიქრობ, რომ ამერიკის შიში იმ გარანტიების სიმტკიცის შესახებ, რომელსაც მოგვცემს რუსეთი იმ შემთხვევაში, თუ აღდგენილ იქნა მასთან ურთიერთობა, ერთგვარათ გადამეტებულია. გენუის მოლაპარაკებამ სწორედ იმიტომ არ მოგვცა პრაქტიკული შედეგები, რომ ჩვენ თვითონ ვერ შევთანხმდით გარანტიებისა და განსაკუთრებით უცხოელთა ქონების უფლებების საკითხში. ლოიდ ჯორჯმა ძალიან გარკვევით უთხრა რუსებს, რომ თუ მათ სურთ მიიღონ კრედიტები, მაშინ მათ უნდა იცნონ თავისი ვალდებულებანი. ჩვენ განზრახვა გვაქვს მტკიცეთ მოვითხოვოთ რუსეთისაგან გარკვეული და სათანადო გარანტიების მიცემა და ამ გარემოებამ უნდა გაფანტოს ამერიკის ეჭვები.

## საფინანსო პრობლემები

**საფრანგეთის შიში.**

**ნაუენი,** 5 ივნისი (რადიო). პუანკარემ დეპუტატთა პალატაში, საკონტრიბუციო პრობლემის შესახებ, განაცხადა: ჩვენ კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებთ იმის წინაალმდეგ, რომ გერმანიისათვის სესხის მიცემის საკითხის გადაწყვეტა, დაუქვემდებარონ იმას, თუ საფრანგეთი რამდენათ შეამცირებს თავის საკონტრიბუციო მოთხოვნილებათ. სწორედ ამ პოზიციას ემხრობიან ამერიკელი ბანკირები, რამაც სამწუხარო გაკვირვება გამოიწვია პარიზის ფინანსიურ წრეებში. გაზეთი „გოლუა" ამ საკითხის შესახებ სწერს: მორგანის გეგმა სავსებით მიუღებელია საფრანგეთისათვის. ეს პროექტი გამოიწვევს ბანკირების ტყუილ-უბრალო და არასასიამოვნო გაღიზიანება, რომელთაც ჭეშმარიტად სურთ სესხის საკითხის ხელსაყრელ პირობებში გადაწყვეტა. გაზეთი „პტი პარიზიენი" უფრო დინჯად იხილავს შექმნილ მდგომარეობას და აცხადებს, რომ ასეა თუ ისე, მაგრამ გერმანიას სესხი მაინც უნდა მიეცეს. გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი" ცდილობს დააშოშმინოს გაცხარებული მოწინაალმდეგენი, რისთვისაც მას მოყავს მორგანის სიტყვები, რომ სესხის პირობების ოპოზიცია საფრანგეთის მხრივ არ იქნება სასტიკი და ხანგრძლივი.

**ურთიერთი ნდობა,**

**ბერლინი,** 5 ივნისი (რადიო). ნიუ-იორკის შტატის წარმომადგენლის გლინას აზრით, ევროპამ და ამერიკამ უნდა აღადგინონ ურთიერთი ნდობა. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი სავსებითი და გულწრფელი თანამშრომლობა, რაიც განამტკიცებს და გააძლიერებს ევროპას.

**მოთხოვნილებათა შეუსრულებლობა.**

**ნაუენი,** (რადიო). ბრიტანეთის მუშების პოპულიარული ლიდერი ტომასი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ის საკონტრიბუციო მოთხოვნილებები, რომელნიც გერმანიას წარუდგინეს, შეუძლებელია შესრულებულ იქნეს. ამასთან დაკავშირებით, ინგლისის სავაჭრო ინტერესების შესახებ, ტომასმა განაცხადა: დღევანდელი პირობები ისეთია, რომ ინგლისს ერთსა და იმავე დროს არ შეუძლია ნამცხვარი შეინახოს და მასთან ნაჭერ ნაჭრებად დასჭრას.

**ბორდო,** 5 ივნისი (რადიო). ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი შვეერი აღნიშნავს, რომ საკონტრიბუციო მოთხოვნილებათა შენობა აუცილებლად დაიმსხვრევა იმ დროს, როდესაც საფრანგეთი იცნობს თავის თავს განმარტოვებულათ. და სწორეთ ამ გზით მიმდინარეობს ევროპის პოლიტიკა. შვეერმა, დასასრულ, ხაზი გაუსვა იმ გარემობას, რომ აუცილებლად საჭიროა მოსპობილ იქნეს იდეა გერმანიის პასუხისმგებლობისა საერთაშორისო ომის დაწყებაში, ე. ი. ხელშეკრულების გაუქმება.

**ბანკირების კონფერენცია.**

**ლონლონი,** 24 მაისი. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდის" ცნობით, განზრახულია, რომ გერმანიის სესხი უნდა წარმოადგენდეს ფაქტიურად პირველი გირაოს და ამიტომ იგი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო გარანტიით, ე. ი. სარკინისგზო და თამბაქოს მონოპოლიებით ან-და საბაჟოების შემოსავლით. გაზეთ „დეილი ჰერალდის" ცნობით გერმანიას მისცემენ 5 მილიარდი გირ. სტერლინგის სესხს; ამ სესხის პირობები შემდეგია:

1) გერმანია ვალდებულია შეაჩეროს ქაღალდის ფულის გამოშვება; დაუყონებლივ ჯამი გაუკეთოს თავის ბიუჯეტს, რაც ნიშნავს უმუშევართათვის დახმარების მიცემის შეწყვეტას და ახალ გადასახადების შემოღებას, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება მშრომელ მასსებს და 3) გერმანიის მთავრობა ვალდებული იქნება დათანხმდეს უცხოელთა კონტროლს ბანკირების მხრივ, რომლებმაც უნდა გაანაღდონ სესხი. ამ პირობებს „დეილი ჰერალდი" ახასიათებს როგორც „კაპიტალიზმის იერიშს გერმანიის ეკონომიურ დამოუკიდებლობაზე".

## სამოქალაქო ომი ირლანდიაში

**ბერლინი.** 6 ივნისი. (რადიო). ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს ირლანდიაში შეიარაღებული ძალები, რათა ბოლო მოუღოს სამოქალაქო ომებით გამოწვეულ სისხლის ღვრას.

**ნაუენი.** 6 ივნისი. ივნისის 16-ს ლონდონში ირლანდიის ამბების გამო მოხდება გრანდიოზული მიტინგი. სიტყვებით გამოვიდა 18 გამოჩენილი ორატორი და მათ შორის: რობერტსესილი, ლედი ასტერი, კორკის არქიეპისკოპოსი, მუშების ლიდერი პლიანსი და სხვ.

**ბორდო.** 6 ივნისი. ულსტერის და ირლანდიის შუა არსებული სანაპირო სადარაჯოები დაკავებული იქნა ინგლისის ჯარების მიერ, რომელთაც ნაბძანები აქვთ ძირშივე მოსპონ ყოველივე ცდა ულსტერისა და ირლანდიის ტერიტორიაზე თავდასხმისა, როგორც ერთის ისე მეორეს მხრივ. ინგლისის მთავრობის მიერ მიღებული ყოველგვარი ზომები, რათა აღკვეთილ იქნეს ცდა სისხლისღვრისა—ირლანდიის რესპუბლიკებისა და დე'ვალერის მიმდევართა მხრივ. ინგლისის მთავრობამ წარუდგინა კატეგორიული მოთხოვნილება, ინგლის ირლანდიის შორის დადებულ ხელშეკრულების სისწორით აღსრულების შესახებ.

**პარიზი.** 6 ივნისი. ბელფასტში გაგზავნილია ინგლისის რაზმები. საკომანდო ნაწილს მინდობილი აქვს მიიღოს ზომები დამნაშავეთა დასატუსაღებლად და დასასჯელად.

**ბორდო.** 6 ივნისი. დე'ვალერის მომხრეები აძლიერებენ ტერორისტულ მოქმედებას. მაგისტრატურის წევრი ფლიანეგანი, რომელმაც რამდენიმე სინფეინორს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მოკლულ იქნა.

**რომი.** 6 ივნისი. ლონდონიდან ოფიციალურად იტყობინებიან ინგლისის და სამხრეთ ირლანდიის რაზმებს შორის მომხდარ ახალ შეტაკების შესახებ. ინგლისის ჯარებმა დაიკავეს ირლანდიის პოზიციები, ხელთ იგდეს მრავალი საომარი მასალა და 1000 კაცამდე ტყვე.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

**გერმანიის საწარმოო დაწესებულება რუსეთში.**

**მოსკოვი.** 2 ივნისი (რადიო). სახელმწიფოებრივ გეგმის სამმართველო იხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი გარანტიები შეიძლება მიეცეს საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანიის საწარმოო დაწესებულებებს და კოოპერატივებს, რომლებიც გრძელ ვადიან სასოფლო-სამეურნეო კრედიტს აძლევენ გერმანელ კომუნას.

**თესვის კომპანია.**

**მოსკოვი. 2 ივნისი (რადიო). სამარის გუბერნიის გლეხები იტყობინებიან, რომ თესვა ჩატარდა დიდი ენტუზიაზმით. ჭვავი უკვე არშინის სიმაღლემდე გაიზარდა. სიმშილის საშიშროებას გლეხები განვლილად სთვლიან. ჯეჯილები კარგია. გლეხები უძღვნიან მხურვალე მადლობას საბჭოთა ხელისუფლებას პურისა და თესლის მიწოდებისათვის.**

სათათრეთის რესპუბლიკაში მოსავალს კარგი პირი უჩანს. თესვის კამპანია, მიუხედავად მძიმე პირობებისა, ნაყოფიერად ჩატარდა გლეხები ერთსულოვნად შეუდგენ თესვას.

[illegible]

— დაღესტნის რესპუბლიკაში მოსავალს 4 ნახ. ბილ. აფასებენ.

— სტავროპოლის გუბერნიაში მიწის დახვნა დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა. მთელ რიგ მაზრებში არ დარჩენილა დაუხვნელი არც ერთი ნაჭერი მიწა.

**მოწაფეების თვითმოქმედება.**

**მოსკოვი.** 25 მაისი. სახალხო განათლების კომისარიატმა დაამტკიცა დებულება მცირე წლოვან მუშების სკოლების მოწაფეთა, თვით მმართველობის შესახებ. დებულების თანახმად ახალგაზრდობა მიიღებს აქტიურ მონაწილეობას სკოლის ცხოვრების ყველა დარგებში.

**პურის სესხი.**

**მოსკოვი.** 3 ივნისი. 1 ივნისს პურის სესხზე ხელის მოწერა მოსკოვში მეტად გაცხოველებულად სწარმოებდა. პაის მყიდველები უმეტეს შემთხვევაში საბჭოთა მოსამსახურენი და მუშები არიან.

— სახელმწიფო ბანკმა დაადგინა 1 დეკემბრამდე ობლიგაციების მფლობელთ აძლიოს სესხი არა უმეტეს ობლიგაციების ღირებულების 60 პროცენტისა.

— ფინანსთა და სასურსათო სახ. კომისარიატებმა დაადგინეს აგვისტოს 1-დან მიიღონ პურის სესხის ობლიგაციები სასურსათო გადასახადის ანგარიშში. ობლიგაციების მფლობელთ ნება დართული აქვთ დაახურდავონ ობლიგაციები პურზე, რომელიც დამზადებულია დასამზადებელ კანტორებში.

**ფქვილი საზღვარ გარეთიდან.**

**მოსკოვი.** 3 ივნისი. 28 მაისისათვის საზღვარ-გარეთიდან მოსკოვში მოვიდა 2 ნახ. მილიონ ფუთზე მეტი ფქვილი და ხორბალი.

[illegible]

**მოსკოვის სურსათით მომარაგება.**

**მოსკოვი.** 25 მაისი. მოსკოვის საბჭოს დელეგაციის მიერ საზღვარ გარეთ ფრახტ-გადახდილი 4,100,000 ფუთი პური რეგულიარულად მიდის მოსკოვის რკინის გზის ქსელით—მაისის პირველი რიცხვებიდან. მთელი ეს პური სასურსათო სახ. კომისარიატის და მოსკოვის საბჭოს შორის მომხდარ შეთანხმების თანახმად—უნდა მოხმარდეს მოსკოვს და მის გუბერნიებს მომარაგების სახელმწიფო გეგმის მიხედვით.

**ჩეხოვის სახელობის მუზეუმი.**

**მოსკოვი.** 25 მაისი. მოსკოვში შესდგა კომიტეტი ჩეხოვის სახელობის მუზეუმის მოსაწყობად. კომიტეტში შედიან სამუზეუმო მოღვაწენი. ჩეხოვის თანამედროვე ზოგიერთი პირნი და ლიტერატურისა და მეცნიერების წარმომადგენლები. კომიტეტს მოქმედებაში მონაწილეობას ღებულობენ მწერალთა კავშირი, რუსულ სიტყვიერების მოყვარეთა საზოგადოებისა, და მიმდინარე წელში დაარსებული ჩეხოვის სახელობის საზოგადოების წარმომადგენლები. გადაწყვეტილია ეთხოვოს კომიტეტის შემადგენლობაში შესვლა კნიპერ-ჩეხოვისას. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია პროფესორი გლივენკო.

# კაპიტალიზმის სამეფოებში

**კომუნისტების დატუსაღება.**

**ვარშავა.** 3 ივნ. (რადიო ხარკოვით). გაზეთი „კურიერ პოლსკი" იტყობინება: ვარშავაში დაატუსაღეს მრავალი კომუნისტი ახალგაზრდა. დაპატიმრებულია 20 კაცზე მეტი. ხელში ჩაიგდეს მასალები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ კომუნისტური ახალგაზრდობის საერთაშორისო პირველი ყრილობის შემდეგ, პოლონეთში მოეწყო ძალიან დიდი ორგანიზაცია.

**ზემო სილეზიაში.**

**ნაუენი,** 5 ივნისი (რადიო). ზემო სილეზიაში საკავშირთაშორისო კომისიამ გაგზავნა პოლონეთის ბანდიტების მიერ დაკავებულ რაიონებში 2 პოლკი ჯარისკაცი. ბევრი გერმანელი მოქალაქე პოლონეთის ტერიტორიით დაშინებული გარბის თავისი [illegible]

[illegible] მოქვეყნებულია მემუარები ყოფილ მეფის მინისტრის დურნოვოსი, რომელიც სხვათა შორის მოგვითხრობს, რომ რამდენიმე კვირით ადრე ომის დაწყების წინ, ნიკოლოზ რომანოვი სთხოვდა დურნოვოს აეცილებია გერმანიასთან ომი რა საშუალებითაც არ უნდა ყოფილიყო. დურნოვოს სიტყვებით, ნიკოლოზ რომანოვმა მაშინ უთხრა მას, რომ რუსეთს მიუხედავად მისი მოკავშირეებისა, ყველას მაგიერ დაეწევება თავზე პასუხისმგებლობა. ეს კი მიგვიყვანს იქამდი, რომ რუსეთი დაექანება უფსკრულისაკენ და გახდება ჯერ არ ყოფილი კატასტროფის მსხვერპლი. რომანოვის სიტყვებით, რუსეთის ხალხი მსხვერპლად შეეწირება მოკავშირეებს, რომელნიც ისარგებლებენ, რუსეთის ხარბახნებით, რუსეთის ჯარისკაცებით, რუსეთის სურსათით. დურნოვო სასტიკ ბრალს სდებს პუანკარე.

**ბერლინი.** 6 ივნისი. (რადიო). მოსკოვის მთავრობამ დაადასტურა უმაღლესი ტრიბუნალის განაჩენი, რომელიც გამოტანილი იქნა სამღვდელოების საქმის შესახებ.

**იტალიაში.**

[illegible]

**ნაუენი** 6 ივნისი (რადიო). ფინლიანდიის მთავრობის გადადგომა პრეზიდენტმა მიიღო მთავრობას დაევალა დროებით, არჩევნების დამთავრებამდე, დარჩეს ხელისუფლების სათავეში.

---

# სრულიად საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის მეორე ლეგალური ყრილობა

6 ივნისს დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. სერ. ქავთარაძის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება „საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის" შესახებ, რომლის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია (იხ. ქვევით). დილის სხდომაზევე მოხსენება გააკეთა ამხ. ხაცკევიჩმა ახალგაზრდათა კომკავშირის სრულიად რუსეთის მეხუთე კონფერენციის შესახებ. მოხსენების რეზიუმეს მოვათავსებთ ხვალ.

იმავე დღეს საღამოს სხდომაზე კომკავშირის გამწმენდი კომისიის სახელით მოხსენებით გამოვიდა ამხ. დევდარიანი, რომლის შემდეგ გაიმართა კამათი. და ბოლოს მიღებულ იქნა რეზოლიუცია (იხ. ქვემოთ). საღამოსავე სხდომაზე სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. მეტონიძემ. სულ ყრილობაზე არიან 104 დელეგატი გადამწყვეტი და ათიც სათათბირო ხმის უფლებით. დელეგატების სოციალური შემადგენლობა: მუშები—12, გლეხები—22, მოსამსახურეები—30, ინტელიგენტები — 37. ეროვნულათ: ქართველები—66, სომეხი—10, რუსები—6, ოსები—9 და სხვ. ეროვნება—10.

## რეზოლუციები

**რეზოლიუცია ამხ. ქავთარაძის მოხსენების „საერთაშორისო მდგომარეობის" შესახებ.**

„საერთაშორისო კაპიტალიზმი ის[illegible]ულ ფატალური პირობების მსვ[illegible]ბით მივიდა ანარქიულ მდგომარეობამდის და ეს განსაკუთრებით ომის შემდეგ. კაპიტალიზმის კატასტროფიული მდგომარეობა ყველაზე ნათლად ჩანს ევროპის კონტინენტზე, კაპიტალიზმის ამ კლასიკურ ქვეყანაში. საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა განუზომელი ზიანი მიაყენა მსოფლიოს და კერძოდ ევროპის კაპიტალიზმს. მან გახრწნა და გამოფიტა ყველა მატერიალური სიმდიდრენი, დაანგრია წარმოება, დასცა და დააუძლურა საერთაშორისო მეურნეობა და ჩაშალა საერთაშორისო ეკონომიური წონასწორობა; მან გაამდიდრა ზოგიერთნი იმ სხვების ხარჯზე, რომელნიც ჩავარდენ აუტანელ პირობებში და სიღარიბეში, გაამეფა სიმშილი და უმუშევრობა, რომლებმაც ამ უკანასკნელ ხანებში მიიღეს, რასაც ადასტურებენ აგრეთვე ბურჟუაზიული ეკონომისტები და დიპლომატები მთელი ქვეყნისა და განსაკუთრებით კი ევროპისა. ამასთან ერთად პროლეტარულმა რევოლიუციამ, რუსეთის მშრომელთა გამოფხიზლებამ და მათმა შეგნებულმა ბრძოლამ თავის მონაპოვართა შესანარჩუნებლათ, სამოქალაქო ომმა და ინტერვენციამ, რომელმაც გამოიწვია, ევროპისა და მთელი ქვეყნის ინდუსტრიის ფაბრიკატების გასაღებისათვის უდიდესი ქვეყნის იზოლიაცია, უფრო გააძლიერა ის ეკონომიური პარალიჩი, რომელიც თავს დაატყდა ევროპას და შეიტანა საბოლოო გახრწნა კაპიტალის ოჯახში ამიტომ, იმ მიზნით, რომ გამოსულიყვნენ შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური ანარქიიდან, ანტანტამ —საერთაშორისო ომში გამარჯვებულ ქვეყნების ამ კოალიციამ, რომელმაც თავისი ყაჩაღობით გააპარტახა ევროპის მეურნეობა, მოიწვია აპრილში გენუის კონფერენცია. ამ კონფერენციაზე, ევროპის აღდგენის საჭირბოროტო საკითხებთან ერთად, წამოყენებული იყო საკითხთა საკითხი საბჭოთა რუსეთის შესახებ. საბჭოთა რუსეთი—აი მთავარი ღერძი გენუის მუშაობისა. მათი სურვილების წინააღმდეგ, ყველა „ჰუმანიური" იმედები და ოცნებანი კონფერენციის ხელმძღვანელი წრეებისა, არ გამართლდა. გენუის კონფერენციამ სავსებითი მარცხი განიცადა. ერთად ერთი გამარჯვებული გენუის კონფერენციამდე შექმნილ მდგომარეობიდან, გამოვიდა საბჭოთა ფედერაცია, რომლის დელეგაცია, სავსებით მომზადებული თანდათან იპყრობდა ახალ პოზიციებს, გამოდიოდა რა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის და მთელი ქვეყნის მუშათა და გლეხობის მილიონების ინტერესებიდან.

გენუის კონფერენციაზე დამარცხებულმა კაპიტალ. ევროპამ, დიდი და მცირე ანტანტის მეთაურობით, ჰააგისა და ადგილის გამოცვლით მოინდომა საბოლოო გარხრწნისაგან ეხსნა სერიოზული სნეულებით შეპყრობილი ევროპის ორგანიზმი: ჰააგის საშვალებით მას სურს გამოვიდეს შექმნილი არქიკრიტიკული მდგომარეობიდან. საბჭოთა დელეგაციამ, გენუაში, თავისი საქმიანი მუშაობით, გაამართლა ყველა ის იმედები, რომლებსაც ამყარებდნენ [illegible] რესპუბლიკების [illegible] მშრომელი მასები.

სრულიად საქართველოს კომუნ ტური ახალგაზრდობის მე-2 ყრილ ბას ღრმადა სწამს, რომ მომავალში როგორც ჰააგაში, ისე ყველგან, საბჭოთა დელეგაცია დაიცავს სუვერენულ უფლებებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებისას, რომლის წ ნააღმდეგაც სისტემატიურ თავდასხმას აწარმოებენ ევროპის კაპიტალისტები. იგი შექმნის პირობ საბჭოთა ფედერაციის მეურნეობ ეკონომიური აღორძინებისათვის თავისი ენერგიული მუშაობით ხე შეუწყობს პროლეტარიატის საბ ლოო გამარჯვებას.

ყრილობა, საქართველოს რამოდ ნიმე ათასი მუშებისა და გლეხობ სახელით, ფიცსა სდებს, რომ მ მიმდევარი მშრომელი ახალგაზრდო მასა, ყოველი საშუალებით დაეხმარ ბა საბჭოთა დელეგაციას და ხე შეუწყობს მას იმ მისიის შესრუ ბაში, რომელიც მას აქვს დაკისრე ლი.

გაუმარჯოს საბჭოთა დელეგაცი

გაუმარჯოს საერთაშორისო საბ თა ფედერაციას

**რეზოლიუცია კომკავშირის გაწმ დის შესახებ.**

„მოისმინა რა ამხ. დევდარიან მოხსენება საქართველოს კომკავშ რის გაწმენდის შესახებ, სრული საქართველოს კომკავშირის მე-2 ყ ლობა ადასტურებს, რომ ეს გაწმ და, რამდენადაც მის შედეგათ კავშ რის გარეშე დარჩა მნიშვნელოვან რიცხვი მუშებისა, უღარიბესი გ ხობისა და ძველი არა ლეგალური მ შაკებისა, არა დამაკმაყოფილებლ იქნა ჩატარებული, მაგრამ ყრილო აღნიშნავს, რომ მან მოგვცა შესაძ ბლობა ჩვენი იაჩეიკების გამოცოც ლებისა და მიტმასნილი ელემენტებ გაძევებისა. ამასთან ერთად ყრილობ საჭიროდ მიაჩნია დაავალოს ახლად ა ჩეულ ცკას გადასინჯოს გაწმენდ შედეგები დ უკანვე მიიღოს ზოგიერ ძველი არა ლეგალური მუშაკები, მუშ ბი და უღარიბესი გლეხები, რომელ ნიც დარჩენ ჩვენი კავშირის გარეშ მაგრამ, რომელნიც მაინც არიან უკეთესი დამცველები საბჭოთა ლისუფლებისა.

---

# სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია *)

**სხდომა მეორე**

სასახლე 1922 წ. აპრილის 15.

## მიწათ-მოწყობის შესახებ

**გოგილაძე.** (კითხულობს მე 7 მუხლს) „მშრომელ მეურნეს, რომელიც ინტენსიურად ამუშავებს მიწას (ეწევა ჩაის, თამბაქოს, ვენახის, ძვირფას მცენარეების და სხვა ასეთ სამრეწველო კულტურას) ეტოვება მთლად ის მიწა, რომელიც არის ფაქტიურად მის სარგებლობაში და დამუშავებულია მისი პირადი და მისი ოჯახის წევრთა შრომით, დაქირავებულ ან სალალო შრომის გარეშე, თუნდაც ამ მიწის რაოდენობა აღემატებოდეს დაწესებულ ნორმას. ხოლო თუ მარტო ან თავის ოჯახის შემწეობით ვერ შესძლებს მამულის დამუშავებას, მაშინ ის მოვალე ხდება შეიყვანოს ამხანაგად უმიწაწყლო გლეხი.

**ხაბაშვილი.** ჩემის აზრით ის ადგილი მუხლისა, სადაც ლაპარაკია, რომ თუ მეურნე ვერ შესძლებს საკუთარი შრომით მამულის დამუშავებას ის მოვალე ხდება შეიყვანოს ამხანაგად უმიწაწყლო გლეხი, უნდა იყოს უსათუოდ ამოშლილი, ვინაიდან მემამულეს არ უნდა მიეცეს საშუალება ვინმე ამუშაოს თავის სასარგებლოთ. ასეთი ხვრელი („ლაზეიკა") არ უნდა დავტოვოთ.

**ორახელაშვილი.** ამხანაგებო, მე მგონია ამ მუხლში უნდა იყოს შეტანილი ასეთი ცვლილება. ამ მუხლში არის ნათქვამი, რომ მეურნეს, რომელიც ეწევა კულტურულ მეურნეობას ეტოვება მთლად ის მიწა, რომელიც ფაქტიურად მის სარგებლობაშია, თუნდაც აღემატებოდეს ნორმას. ის ფაქტი, ამხანაგებო, რომ ამ მიწის რაოდენობა აღემატება დაწესებულ ნორმას, ლაპარაკობს იმას, რომ მეურნე, რომლის ხელში ის იქნება, არ დაამუშავებს მას საკუთარი შრომით. არ ყოფილა ასეთი მაგალითი, რომ ასე იქნეს. ყოველთვის არის ხმარებული დაქირავებული, ანუ სალალო შრომა, ეს კი ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. შემდეგ მუხლში ნათქვამია, რომ მეურნეს უფლება ეძლევა შეიყვანოს ამხანაგად უმიწაწყლო გლეხი. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ეს მეურნე შეიყვანს იმას, ვინც მას სურს და იმ პირობებზე, რომელიც მისთვის უკეთესია. ამნაირად გამოვა ის, რომ ჩვენ შეგნებულად მონად გაუხდით ასეთ მეურნეს იმ გლეხს, რომელიც მასთან შევა სამუშაოდ. ამიტომ მე შემომაქვს წინადადება, რათა ეს არ იქნეს დაშვებული. კულტურულ მამულის ნორმაზე ზედმეტი რაოდენობა ჩამოერთვათ მემამულეს და გადაეცეს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს და არამც და არამცარ დაეტოვოს თითონ მეურნეს.

**ქავთარაძე.** აქ გამოტოვებულია პრინციპი აგრარული დებულების, სახელდობრ დაქირავებულ შრომის ელემენტი. ეს რუსეთის დებულებაში არის და რატომ არ არის ჩვენ დებულებაში?

**გოგილაძე** ამაზე არის ლაპარაკი დებულების მე 15 მუხლში.

**ეზბა.** ამხანაგებო, ამ მუხლში განსაზღვრულად არ არის აღნიშნული, რომელ მეურნეს ეტოვება ნორმა. მართალია ჩამოთვლილია: იმ მეურნეს, რომელიც ეწევა თამბაქოს, ჩაის, ვენახის, ძვირფას მცენარეების კულტურას, მაგრამ აქ წერტილი არ არის დასმული, ნათქვამია—„და სხვა ასეთ სამრეწველო კულტურას". მე ვფიქრობ ეს „და სხვა" არ უნდა იყოს, იმიტომ, რომ ეს იქნება ხვრელი (ლაზეიკა), რომლითაც ისარგებლებენ სხვადასხვა პირნი, ისეთნი, რომელთაც არ ექნებათ ამის უფლება. ამიტომ ეს სიტყვები—„და სხვა" უნდა ამოშლილი იყოს. გარდა ამისა პატარა გაუგებრობაა: ამავე მუხლში ნათქვამია, რომ კულტურულ მამულის მეურნეს შეუძლია ამხანაგად შეიყვანოს უმიწაწყლო გლეხიო, მაგრამ ამხანაგებო, თუ კი ჩვენ ამ დებულებას ცხოვრებაში გავატარებთ, რომლითაც ყოველ გლეხკაცს უნდა მიეცეს მიწა, —მე ვფიქრობ უმიწაწყლო გლეხები აღარ უნდა დარჩნენ.

**გეგეჭკორი.** საქმე იმაშია, რომ პროექტის მე-7 მუხლის ძალით და ქირავებული შრომა დასაშვებია ვადიან სამუშაოთა სეზონში. და თუ კი ჩვენ ეს დასაშვებად მიგვაჩნია თუ კი ჩვენ დაინტერესებულნი ვართ კულტ. მეურნეობის განვითარებით, მისი აღორძინებით მაშინ პირდაპირ აბსურდია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ ვინმე მონად გაუხადოთ ვისმეს, მით უმეტეს, რომ კულტურულ მამულებში მუდმივ შრომას ეწევა თვითონ მეურნე და მისი ოჯახი, ხოლო დაქირავებული შრომა საჭიროა მხოლოდ ვადიან სამუშაოთა სეზონში. და აქ, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ გლეხებს დავაბრუნებთ მონობაზე. მე მომხრე ვარ, რომ ასეთ მამულებში მეურნემ მოიწვიოს უმიწაწყლო გლეხი. გარდა ამისა მე წინადადებას ვიძლევი შევაერთოთ მე-15 მუხლი დაქირავებულ შრომის შესახებ ამ მუხლთან.

**ცერცვაძე.** ჩვენთვის უაღრესად საჭიროა, რომ დავიცვათ მთლიანობა კულტურულ მამულებისა. ყოვლად შეუძლებელია დაყოფა და დანაწილება, მაგალითად, ჩაის, თამბაქოს და სხვა კულტურულ მცენარეთა პლანტაციების, მაგრამ ამავე დროს ასეთ მამულებს რამდენად ის დიდია, სჭირდება მეტი მუშა და ჩვენც უნდა დაუშვათ, რომ მუშებმაც ისარგებლონ ამ მამულებით. ასეთი მუშები მონები კი არ გახდებიან მეურნეებისა, არამედ შევლენ როგორც თანასწორი მონაწილენი. შეიძლება ბოლოს ამით ჩვენ კომუნამდეც მივიდეთ. მე ვფიქრობ, რომ ეს მუხლი უცვლელად უნდა დარჩეს.

**მახარაძე.** აქ არის პატარა გაუგებრობა. რა თქმა უნდა, იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც ლაპარაკი დაიწყეს კულტურულ მეურნეობის [illegible]. ჩვენ ეს შევაჩერეთ რამდენად შესაძლებელი იყო, ვინაიდან ეს დასწევდა მეურნეობას—ლაპარაკი არ უნდა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ კულტურულ მამულის დაყოფა და დაქუცმაცება სახნავსათესი მიწასავით ყოვლად შეუძლებელია. ეს იქნება ბარბაროსობა, ეს დასცემს კულტურულ მეურნეობას და ამიტომ თუ კი ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ასეთ მეურნეობის აყვავებაში და განვითარებაში, ჩვენ ხელი უნდა ავილოთ მის დაქუცმაცებაზე. ასეთ მამულებს ან მთლად უნდა ნაციონალიზაცია უყოთ, ან და ის დავტოვოთ იმ მემამულის ხელში, ვის ხელშიც იყო, თუნდაც ასეთი მამული ნორმას აღემატებოდეს. ჩვენ მას, რასაკვირველია, გადასახადს რაც შეიძლება მეტს გავაწერთ. გარდა ამისა შევეცდებით იქ მოიძებნება ისეთი პირი, რომელიც მასზე უკეთესად დაამუშავებს, დაიცავს და შეინახავს მამულს, ჩვენ მას გადავცემთ იჯარით. რაც შეეხება იმას, რომ მეურნემ მამულში შეიყვანოს ამხანაგად ვინმე უმიწაწყლო გლეხი, მე ამის წინააღმდეგი ვარ, ვინაიდან ცხადია ასეთი გლეხი მონა გახდება მეურნისა.

**სტურუა.** ამხანაგებო, ქუთაისის მაზრაში ასეთი შემთხვევა იყო. ყოფილ ნავთის მწარმოებელს ვინმე თვალავაძეს დიდი მამული აქვს. სამოცი დესეტინა იქნება. ახლად დაწყებული ბაღი აქვს. მოთავებული არ არის. ეს მამული შარშანწინ მენშევიკებმა ჩამოართვეს, ვერც იმათ ახეირებს ეს მამული და შარშანაც, ჩვენ ხელში რომ იყო, ვერც ჩვენ ვახეირეთ. ეხლა მოვიდა თვალავაძე და მოიტანა მიწათმოქმედების კომისარიატიდან ქაღალდი, რომ ეს მამული გადაეცა მას, თვალავაძეს და ამხანაგობას. ამხანაგებათ კი მან შეიყვანა თავისი ძმა, ცოლის ძმა და სიძე და სხვა ასეთები. რასაკვირველია, ჩვენ ვერ მოუარეთ ამ მამულს, ის უფრო უკეთესად მოუვლის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მან თავისი ნათესავები შეიყვანა და თუ რას ახდევინებს მთავრობა მას იჯარას, ეს ჩვენ არ ვიცით. მე ვამბობ, რომ დიდი კულტურული მამულები გამოცხადდენ სახელმწიფოდ და გადაეცეს იჯარით იმათ, ვინც კარგად მოუვლის მამულს, ან და შეიძლება დაურჩინოთ ძველ მეპატრონეთ, რომელიც კარგად უნდა დავბეგროთ, მხოლოდ ყოვლად დაუშვებელია, რომ ჩვენ იმათ უფლება მივცეთ თავისი ნათესავები შეიყვანონ, როგორც თვალავაძემ.

**ლისოვსკი.** ჩემი აზრით ეს მუხლი პროექტისა ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა და მისი ასე ნაჩქარევად მიღება შეუძლებელია. მე ვფიქრობ, რომ უმთავრესი კითხვები ჩვენ უნდა გადავცეთ აგრარულ კომისიაში, სადაც დაიმუშავებენ მას და შემდეგ წარმოგვიდგინენ აქ დასამტკიცებლად. ასე კი, ჩემი აზრით მეტად აჩქარებული იქნება და შეიძლება კიდეც რაიმე შეცდომა დაუშვათ. კომისია ამ პროექტს გადაამუშავებს და შემდეგ წარმოგვიდგენს ჩვენ.

**თავმჯდომარე.** არავითარი პროექტი არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი ისეთი სახით, რომ შესწორება არ სჭირდებოდეს. ეს თავისთავად ცხადია. კომისია დაამუშავებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს პროექტი მიღებულ უნდა იყოს კომპეტენტურ დაწესებულების მიერ. ასე რომ ამ საკითხის გადადება შეუძლებელია. პროექტი დამუშავებულია, ჩემის აზრით საკმაოდ, და თუ რაიმე უთანხმოება არის, ეს არ ნიშნავს, რომ პროექტი კომისიას უნდა გადავცეთ. არა, ჩვენ გავარჩიოთ პროექტი და მნიშვნელოვან პუნქტებში შევიტანოთ შესწორებები.

**გეგეჭკორი.** (კითხულობს რუსული გაზეთიდან და დასძენს) შემდეგაც არის ლაპარაკი, რომ პროექტი უნდა განხილულ და შესწორებულ იქნას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცეს სარედაქციო კომისიაში, ისე კი არავითარი პროექტი არ წარმოსდგება სრულიად დამაკმაყოფილებელი.

**ლისოვსკი.** მე ხელახალა მოვითხოვ პროექტის კომისიაში გადაცემას, ვინაიდან აქ არის პრინციპიალური ხასიათის პუნქტები და მათი ასე დაჩქარებით მიღება შეუძლებელია: ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი შეწყდეს კამათი და პროექტი გადაეცეს კომისიას.

**მახარაძე.** ჩემი წინადადებაა გაგრძელდეს პროექტის განხილვა ბოლომდე.

**თავმჯდომარე.** კენჭს უყრი ლისოვსკის წინადადებას, რომ კამათი შევწყვიტოთ და პროექტი გადავცეთ კომისიას, რომელიც მას დაიმუშავებს. ვინ არის მომხრე კამათის შეწყვეტისა? ვინ არის მომხრე, რომ კამათი გაგრძელდეს? (კამათი პროექტის შესახებ გრძელდება. ხმები: გთხოვთ უკანასკნელი მუხლი ხელმეორედ წაიკითხოთ).

**მომხსენებელი.** (კითხულობს მე-7 მუხლს) მშრომელ მეურნეს, რომელიც ინტენსიურად ამუშავებს მიწას (ეწევა ჩაის, თამბაქოს, ვენახის, ძვირფას მცენარეების და სხვა ასეთი სამრეწველო კულტურას) ეტოვება მთლად ის მიწა რომელიც არის ფაქტიურად მის სარგებლობაში და დამუშავებულია მისი პირადი და მისი ოჯახის წევრთა შრომით, დაქირავებულ ან სალალო შრომის გარეშე, თუნდაც ამ მიწის რაოდენობა აღემატებოდეს დაწესებულ ნორმას, მხოლოდ თუ მარტო ან თავის ოჯახის შემწეობით ვერ შესძლებს მამულის დამუშავებას მაშინ ის მოვალე ხდება შეიყვანოს ამხანაგად ვინმე უმიწაწყლო გლეხი.

**ფ. მახარაძე.** მე მგონია აქ უნდა გამორიცხული იქნეს, რომ „ის მოვალე ხდება შეიყვანოს ამხანაგად ვინმე უმიწაწყლო გლეხი".

**მომხსენებელი.** თუ ეს წინადადება აქედან ამოვშალეთ მაშინ გამოდის, რომ მეურნეს ხელში რჩება მამული, რამდენიც უნდა იყოს.

**მახარაძე.** აზრი ისეთია, რომ კულტურული მამული დაცული უნდა იყოს მთლიანად. ან უნდა იყოს მისი ნაციონალიზაცია, ან და დროებით უნდა იყოს იმავე მფლობელის ხელში, რომ არ დავწიოთ წარმოება.

**შ. ელიავა.** მე მგონია, რომ კითხვა აქ არის იმ მამულებზე, რომლებზედაც არ არის ნაციონალიზაცია გატარებული. ესენი მეტად პატარა მამულებია და მათზე დავის ატეხა არა ღირს. დიდი მამულები კი უკვე ჩამორთმეული აქვს მემამულეებს.

**მომხსენებელი.** ნორმა მაინც უნდა იყოს დაწესებული, რადგანაც შეიძლება, რომ ასჯერ მეტი იყოს ნორმაზე. მაშინ?

**ფ. მახარაძე.** მაშინ მთავრობას შეუძლია ნაციონალიზაცია მოახდინოს, როდესაც ამას მიზანშეწონილად დაინახავს, თუნდაც ეს მამული პატარა იყოს.

**პ. საბაშვილი** თუ სახელმწიფოსთვის აუცილებელია, მაშინ ნაციონალიზაციას მოვახდენთ, რასაკვირველია მაგრამ ამაში არ არის საქმე. მამული ზედმეტია და რომ არ დაქუცმაცდეს მაშინ მემამულე ვალდებულია შეიყვანოს გლეხი. ეს. ჩემის აზრით, უნდა ამოვშალოთ და ასე უნდა ჩამოვასხათ—"ვინც ოჯახის შემწეობით ვერ შესძლებს მამულის დამუშავებას, ეს მამული გადადის სახელმწიფო საკუთრებაში". აი ასეთი შესწორება შევიტანოთ.

**შ. ელიავა.** მოისპოს კამათი.

**მახარაძე.** ვინ არის მომხრე, რომ ამ მუხლიდან ამოვშალოთ სიტყვა „ამხანაგად" (უმრავლესობა) და ჩაუ ტოთ: „და მიწა, რომელიც შეიძლ მეტი იყოს, რაც ნორმას გადასცი დება გადადის სახელმწიფო საკუ რებაში".

**თ კალანდაძე.** ამხ. საბაშვილი ბობს—თუ ნორმას გადასცილდ გადავიდეს სახელმწიფო საკუთრე შიო. ამას უყაროთ კენჭი. (მიღე ლია)

**მომხსენებელი.** (კითხულობს მ მუხლს) „მიწა მიეცემა ყველა მი მუშას, რომლის საცხოვრებელ წ როს შეადგენს მხოლოდ სასოფ მეურნეობა თავისუფალი საადგ მამულო ფონდის რაოდენობის მ ხედვით.

**შენიშვნა:** ყველა ისეთ პირს, რო მელიც მიწის კომიტეტის გამორკ ვით მოკლებულია მიწის მუშაობ უნარს, გარდა ქვრივ ობლებისა დავრდომილთა, ფონდის მიწა არ მ ეცემა".

(მუხლი კამათს არ იწვევს და მ ღებულ იქნა უცვლელად).

**მომხსენებელი.** (კითხულობს მე მუხლს) „ახალშენებში გადასახ ბულთა მიწით დაკმაყოფილება ხდ იმავე ნორმით, რომელიც შემუშა ბულია იმ რაიონებისათვის, სად საახალშენო ფონდი ემყოფება. გა სახლებულნი ვალდებულნი არი თავიანთი უძრავი ქონება ძვე ბინადრობაზე (ქვითკირის შენობ ბი, ვენახები და სხვ.) გადასც ადგილობრივ საბჭოთა განკარგუ ბაში ორი წლის განმავლობაში დღ დან დამკვიდრებისა ახალშენებში.

**ფ. მახარაძე.** რატომ ორი წ განმავლობაში.

**მომხსენებელი.** ეს იმიტომ, რო გადასახლება ეხლა ხშირად ხდე მაგრამ პირობები მეტად ძნელ ხშირად უკანვე მორბიან და თუ ვის ქონება იმათ არ შეუნახეთ ო წლის განმავლობაში მაინც, რო ისინი ბრუნდებიან თავიანთ ალაგ ზე—იქ აღარაფერი დახვდებათ.

**შ. ელიავა** ორი წელიწადი ძ ლიან დიდი ვადაა. ამ ორი წლ განმავლობაში იმას შეუძლია ახა ალაგით ისარგებლოს, ექსპლოატ ცია მოახდინოს მიწის და შემდ დაუბრუნდეს თავის ძველ ალაგს, მი უმეტეს თუ ქვითკირის შენობები ვენახები დ ხვდებათ.

**მომხსენებელი.** არა, გადასახლე

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტი" №№ 109, 110, 111, 112, 114, 116, 121, 122, 123, 124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

## საქართველო

**აგარაკი ბახმარო.** კლიმატიური კურორტი ბახმარო იმყოფება ოზურგეთის მაზრაში და მდებარეობს აჭარა-გურიის ქედის დასავლეთ კალთაზე ფიჭვნარ ტყეში. ეს კურორტი ცნობილია თავისი განსაკუთრებული მკურნავი თვისებებით. კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში კურორტის გამგემ აცნობა მას რომ საბჭოთა საქართველოს სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი ყველა ზომებს იღებს იმისათვის, რომ ბახმარო ხელმისაწვდომი შეიქნეს ფართო მშრომელი მასსებისათვის და დაყენებული იქნეს იქ საექიმო საქმე სათანადო დონეზე. ამ მიზნით სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა მიიღო ზომები, რომ გაყვანილი იქმნეს კურორტისაკენ კარგი გზები. გზების გასაყვანად შემოღებულ იქმნება შრომის ნატურალური ბეგარა. ავადმყოფების საექიმოდ მოწვეულია შინაგან და ბავშთა ავადმყოფობანის ექიმები მოწვეულია ქიმიის სპეციალისტი პროფეს. ბოსე შვილი კურორტის რაიონში არსებულ გოგირდის, მტუტოვანი და რკინის წყაროების გამოსაკვლევად. განზრახულია მოეწყოს კურორტზე მეტეოროლოგიური სადგური; ეწყობა აგრეთვე ტყეების დაცვა. კურორტზე გაიხსნება ამბულატორია ექსპერიმენტალური მიზნით. ამავე წლისათვის განზრახულია მოეწყოს გზის აბანოები. კურორტზე არსებობს 300 ხის სახლი, აშენებული ფიჭვისაგან. კურორტი გადავიდა მთავრობის ხელში საზოგადოება „ჯანმრთელობისაგან“ ამავე წელში მთავრობამ ჩაიბარა აღნიშნულ საზოგადოებისაგან ყველა ორგანიზაციები: სასადილო, პურის საცხობი, სავაჭრო, თეატრი, ბიბლიოთეკა და წყალსადენი. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატი აწყობს საზოგადო სასადილოს, ხორცის დუქანს, პურის საცხობს და სხვა... რომ მიაწოდოს დაკლებულ ფასებში კურორტის მცხოვრებლებს სხვა და სხვა სანოვაგე. განზრახულია, რომ სადილი 2 თავისაგან, ჩაი რძით დილა-საღამოს და 1 ნახ. გირვანქა პური ყოველდღე ეღირება თვიურად დაახლოვებით 1 ნახ. მილიონ მან. და ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს 2 მილ. მან. წინად ბახმარო ემსახურებოდა მდიდრებს, უკანასკნელ ხანებში კი იქ მიდიოდა 6 ათასამდე ადგილობრივი მშრომელი მცხოვრებლები და ატარებდენ იქ ზაფხულის თვეებს.

**საეკლესიო განძეულობათა აღრიცხვა.**

ახალციხის მაზრის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი მაისის 31 დან იღებს ზომებს საეკლესიო განძეულობათა აღსარიცხავად. თათბირზე მოწვეულმა სასულიერო პირებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან გაუწიონ დამშეულებს ყოველგვარი დახმარება და სცნეს მასალებად საეკლესიო ღვთის მსახურებისათვის გამოუსადეგარ განძეულებათა ჩამორთმევა. ყველა საყდრებში სასულიერო პირები და ერის-კაცებიც უწევდენ აქტიურ დახმარებას განძეულებათა აღრიცხვის საქმეში. მარტო ერთ სომხების მაცხოვრის ეკლესიაში აღ- [illegible]

## აზერბეიჯანი.

**მუღანში.** 2 ივნისის თარიღით მუღანიდან იტყობინებიან: „პეტროპავლოვსკის უბანში მოსავალი ძალიან კარგია. ქერი აღებულია, სამი დღის შემდეგ შეუდგებიან პურის აღებას. ჩვენი ნატურალური გადასახადის შემკრები დაწესებულებები უკვე შეუდგენ მოსამზადებელ სამუშაოებს. სულიერი განწყობილება კარგია. საჭიროა ორთქლის საღეწავის გადატანა პეტროპავლოვის რაიონში, ახალ მოსავლის გამო ფასები ქერზე დაეცა 6 მილ. მან. 1 ნახ.—2 მილ. მანეთამდე აზერბ. ბონებით.

**ბაქოს საბჭოში.** (რადიო) 1 ივნისს მოხდა ბაქოს საბჭოს სხდომა პროფსაბჭოებისა და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით; მოსმენილ იქნა მოხსენებანი ამხ. ვარეიკისის ესერების პროცესის შესახებ და ამხ. ნარიმანოვის გენუის კონფერენციის შესახებ. პირველი მოხსენების შესახებ მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ბაქოს პროლეტარიატი თავის ორგანიზაციების სახით მხარს უჭერს ყველა ბრალდებებს ესერების წინააღმდეგ, მკვლელობაში, ძარცვაში, კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობაში სახალხო მეურნეობაში დანგრევაში და სხვა, და აღნიშნავს როგორც მაგალითს, ესერების დიქტატურას ბაქოში 1918 წელს, რომელმაც გამოიწვია და შემდეგ მხარი დაუჭირა ინგლისელების ოკუპაციას. ბაქოს [illegible] უფლების გარეშე დარაზმისაკენ და სთვლის, რომ გენუის, გააგის და სხვა კონფერენციებზე იმედების დამყარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იქ გაიგზავნება მსოფლიო პროლეტარიატის საბჭოთა რესპუბლიკების დიპლომატები.

---

ლები უმიწაწყალო და ან მცირე მამულიანი გლეხები არიან ხოლმე.

**შ. ელიავა.** მაშასადამე, ამისთანებს ქვითკირის სახლები და ვენახები არა აქვთ ხოლმე.

**სტურუა.** ვინც გადასახლებულია და ორი წლის შემდეგ უკანვე დაბრუნდება იმიტომ, რომ ახალი ალაგი არ მოეწონა, მაშინ ის არც ძველსა და არც ახალ ალაგას არ ივარგებს, მე ერთმა ნაცნობმა მითხრა, რომ მათ დათესეს სადღაც მიწა, რაშიაც მთავრობამ დახმარება აღმოუჩინა, მაგრამ თქვა მან, ჩვენ მოსავალს მოვიყვანთ და შემდეგ კი უკანვე წავალთო და სწორედ ეს ორი წლის ვადა ასეთ ვაჭბატონებს უწყობს ხელს.

**ს. თოდრია.** „ახალ ბინაზე მოწყობის შემდეგ არა უადრეს ორი წლისა“ ასე შეიძლება შევასწოროთ.

**ს. გეგეჭკორი.** საქმე შემდეგშია: [illegible]

შემთხვევაში, თუ კოლექტივში ჩაირიცხებიან მარტო იმ ან მომიჯნავე სოფლის უმიწაწყლონი, ან მცირე მიწის მქონენი, რომელ სოფელშიაც მდებარეობს მამული. ასეთ კოლექტივებში შეიძლება წევრად მიღება ერთი გარეშე პირისა, თუ ის თავისი სპეციალური ცოდნით სასარგებლოა არტელებისათვის.

**ლისოვსკი.** შესაძლებელია, რომ ასეთ არტელებს დასჭირდეთ რამდენიმე სპეციალისტი—მჭედელი, ყველის გამკეთებელი, ლუდის გამომხდელი და სხვ. და შეიძლებელი იქნება თუ არა იმათთვის რომ მოიპატიჟონ საჭირო სპეციალისტები.

**ს. გეგეჭკორი.** ლისოვსკი იღებს რუსეთის მეურნეობას მათ დიდ მამულებს, ხუტორებს, ჩვენ კი საქართველოში ასეთი მეურნეობა არ გვაქვს. ასეთი მეურნე ჩვენში ერთი თუ ორი [illegible]

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

**სათბობი მასალის მონოპოლია.**

(საუბარი სათბობ მასალის განყოფილების გამგე ამხ. ბორკონთან).

ჯერ კიდევ გასული წლის ივნისში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში იჩინა თავი სათბობი მასალის მოუწესრიგებლობამ, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მიიღო ხანგრძლივი კრიზისის ფორმა. ეს კრიზისი გამოწვეული იყო იმ ტეხნიკურ დაბრკოლებათა და სიძნელის გამო, რომელიც ხვდებოდა ნავთის კომიტეტს სათბობ მასალის დარიგების საქმეში.

უკანასკნელის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ გამოცემულ ნედლი მასალისთვის ანგარიშის გასწორება ხდებოდა არა ნაღდ ფულზე, არამედ იმ სამსახურის ჩათვლით, რომელსაც უწევდა საქ. ს. ს. რესპუბლიკა ნავთის კომიტეტს. კიდევ მეტი, განყოფილება ადგენდა ნედლი მასალის განაწილების გეგმას დაწესებულებათა და წარმოებების დაკვეთის მიხედვით, და ამ გეგმასთან შეფარდებით ხდებოდა მომარაგება ჩვენი წარმოებებისა ნედლი მასალით. ეს მომარაგება, რა თქმა უნდა ძლიერ ჩამორჩენილი იყო მოთხოვნასთან. იმ დროს, როდესაც წარმოებათა და დაწესებულებათა ყოველ თვიური მოთხოვნა მაზუთისა გამოიხატებოდა 164,000 ფუთში ფაქტიურად ვაძლევდით ჩვენი დაწესებულებების და წარმოებების საჭიროებისათვის სულ 50—55000 ფუთს თვიურად. ასევე ხდებოდა გაწმენდილი ნავთით მომარიგების საქმეში: დაკვეთა თვეში უდრიდა 136,000 ფუთს და ნამდვილათ მათ ეძლეოდათ 49,000 ფუთი. მდგომარეობის სირთულის გამო, რომელშიაც ჩავარდა ჩვენი წარმოებები, სახ. მეურ. უმაღლესი საბჭოს სათბობი მასალის განყოფილება გასული წლის ოქტომბრის თვიდან შეუდგა აზერბეიჯანის ნავთის კომიტეტთან მოლაპარაკებას ნედლი მასალის ფასით მიწოდების შესახებ. ამ საკითხის გადაჭრას განყოფილება დიდი ხანი მოუნდა, რადგანაც წარმოებანი ჯერ არ იყვნენ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი. სათბობი მასალის განყოფილებას კი არ გააჩნდა საჭირო თანხა. ამას დაეხმარა ფინანსთა სახალხო კომისარიატი, რომელიც იძლეოდა ნედლი მასალის საყიდლად 1922 წ. ანვრამდი მილიარდ მანეთს თვიურად. ა. წ. იანვრის დამლევს სათბობ მასალის განყოფილებამ დასდო აზერბეიჯანის ნავთის კომიტეტთან თავისი პირველი ხელშეკრულება, სამი თვის ვადით, რომლის ძალით ამ განყოფილებისათვის უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ნავთის სრული რაოდენობა ოქროს მანეთის გადახდით. ეს ხელშეკრულება განყოფილებამ „შეასრულა სავსებით; მიუხედავად ყოველგვარ ფინანსიურ დაბრკოლებათა, ნავთის დაპირებული საფასური ფასის გადახდა შესრულებულ იქნა.

თებერვლიდან ჩვენი წარმოებათა უმეტესობა უკვე გადაყვანილ იქნა სამეურნეო ანგარიშზე. მიუხედავად ფინანსიურ კრიზისთან დაკავშირებულ ყველა სიძნელისა, სათბობ მასალის განყოფილება თავის მოვალეობად სთვლიდა ამ წარმოებების ფეხზე დაყენებას და აწვდიდა მათ სათბობ მასალას. რამდენად ასრულებდა ამას ის განყოფილება, სჩანს თუნდაც იქიდან რომ ქალაქის წყალსადენის და სამაზრო ეკონომიურ საბჭოს ვალი განყოფილებისადმი თებერვალ-აპრილის განმავლობაში გამოიხატება 8 მილიარდ მანეთში.

წარმოებების ეს უსაღსრობა თავის გავლენას ახდენდა განყოფილების მუშაობაზე, და სხვათა შორის საშუალებს ართმევდა მას, რომ განევითარებია ოპერაციები მცხოვრებლების ნავთის მომარიგების საქმეში. ამით ისარგებლა კერძო ინიციატივამ, და აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციებმა, რომლებმაც იკისრეს ნავთის შემოტანა აქ და მისი გასაღება მეტად აწეულ ფასებში.

ბაზარი, ბოლოს და ბოლოს, უსხლტებოდა განყოფილების ყურადღებას, რის გამო მან აზერბეიჯანის ნავთკომისაგან ვერ წამოიღო ნავთის საკმარისი რაოდენობა. ამან გავლენა იქონია აზერბეიჯანის ნავთკომის ინტერესებზე და მან აღძრა საკითხი ნავთის იმ მინიმალურ რაოდენობის შესახებ, რომელიც ნამდვილად საჭიროდება საქართველოს ბაზარს.

აზერ. ნავთკომთან ახალ ხელშეკრულების დადების დროს, განყოფილება, გამოვიდა რა იმ მოსაზრებიდან, რომ საქართველოს მცხოვრებთ და აგრეთვე სახელმწიფო წარმოებებს გადახდის უნარი მეტად მცირე აქვთ, შეამცირა თავის სათბობის მოთხოვნილების ნორმა მინიმუმამდე. ამაზე დაჟინებით უთითებდა აგრეთვე წარსულის გამოცდილებაც. მასთან ერთად, აშკარა შეიქნა, რომ საქართველოს ბაზარზე ნავთის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შემოღებული იქნა მონოპოლია სათბობის შემოტანაზე და გაყიდვაზე. მხოლოდ სახელმწიფოს მიერ სათბობის შემოტანის მონოპოლიზაცია უზრუნველჰყოფს მცხოვრებთ ნავთის სპეკულიაციისაგან.

ფასები მასზე დაწესებული იქნება განყოფილების საწყობებში და საწვრილმანო დუქნებში, რომლების რიცხვი ამ მოკლე ხანში ექვსიდან აყვანილი იქნება 20 მდე. განყოფილების ნავთის დუქნები იმუშავებენ კერძო მწარმოებლების დუქნების თანაბრად, საწყობებიდან ნავთის მინიმალურ ფასებში გაცემა, აიძულებს კერძო მოვაჭრეებს გაყიდონ ნავთი ასეთივე დაკლებულ ფასებში.

ამასთან ერთად მონოპოლია უზრუნველჰყოფს ნავთის ღირსებას. უკანასკნელ ხანებში თბილისში მოხდა ნავთის ხმარების დროს მრავალი უბედური შემთხვევები. ხშირათ ხდებოდა ნავთის აფეთქება. ეს აიხსნება იმით, რომ მასში ერია გაზოლინი. განყოფილების საწყობები და დუქნები გაჰყიდიან სუფთა ნავთს.

დუქნები გამართული იქნება ქალაქის ყველა რაიონებში. ამასთან ერთად უკვე მიღებულია ზომები პროვინციებში ნავთის საწყობების მოსაწყობად. ამ ჟამად მაგალითად, ბათუმში ბენზინი ღირს 800—900 ათასი მან. ფუთი, მაშინ როდესაც განყოფილებას შეუძლიან გაჰყიდოს ის 400—450 ათას მანეთად ფუთი. განყოფილებამ უკვე დააგზავნა რესპუბლიკის ყველა იმ მსხვილ ქალაქებში თავისი რწმუნებულები, სადაც ნავთის შესანახი აუზები იმყოფება. ამ ჟამად ნავთი სოფლებში ღირს 8—10 ათასი მან. გირვანქა, და განყოფილებას კი შეუძლიან მიაწოდოს ნავთი მცხოვრებლების რესპუბლიკის მივარდნილ ადგილებშიც—200 ათ. მანეთი ფუთი, ანუ 5—5 ნახ. ათას მან. გირვანქა. იმ მიზნით, რომ ნავთის გასაღების მუშაობა არ დაქვეითდეს მოსამსახურეთა საქმისადმი გულგრილ და ბიუროკრატიულ მოპყრობის გამო, განყოფილებამ მიიღო დადგენილება დამაინტერესებელ პირობებში ჩააყენოს ყველა ნავთის საქმეში ჩაბმული მოსამსახურეები. ეს უეჭველად მათ მუშაობას და კერძო მოვაჭრეებთან კონკურენციას გააუმჯობესებს.

# ქრონიკა

**ქალაქის მილიცია.** თბილისის ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: შეადგინოს კომისია—საგარეო საქმეთა სახ. კომ., სამმართველოს განყოფილების და მუშა გლეხთა ინსპექციის სახ. კომ. წარმომადგენლებიდან, ქალაქის მილიციის ნორმალურ შტატების გამოსამუშავებლად.

✦ **სახ. კვების არტელი.** დადგენილია აღიძრას შუამდგომლობა საქ. კომ. პარ. ცენ. კომიტეტის წინაშე სახ. კვების არტელისთვის სასტუმრო „ვეტცელის“ გადაცემის შესახებ.

**შრომის ბირჟის კოლეგიაში.**

✦ **უმუშევართა ფონდი.** დადგენილია ეთხოვოს პროფკავშირების ცენ. გამგეობას, განიხილონ საკითხი კავშირის წევრებისაგან უმუშევართა ფონდში პროცენტების გადარიცხვის შესახებ.

**ცენტრალურ დამზღვევ კასაში.**

✦ **სატარიფო ქსელი** 1-ლ ივნისიდან შემოღებულია ახალი სატარიფო ქსელი იმ მუშებისათვის, რომლებიც იღებენ პენსიას დამზღვევ კასიდან. ამ ქსელის მიხედვით პენსიის ნორმა ქანაობს 1.200 ათას მანეთიდან 1 ლ ხარისხისთვის, 4800 ათას მანეთამდე მე 17 ხარისხისთვის. ამ ქსელის მიხედვით პენსიები მიეცემათ მხოლოდ 9 ხარისხ; 10-დან 17 მდე ხარისხები მიიღებენ ანგარიშს დროებით, იანვრის ნორმებით საულუფო ფულის 1 მილ. მან. დამატებით.

# პავლე ინგოროყვას მოხსენება შოთა რუსთაველის შესახებ

შაბათს, 3 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნების სასახლეში გაიმართა ახალი მწერლობის კავშირის მორიგი საღამო, რომელზედაც პავლე ინგოროყვამ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „შოთა რუსთაველი. ახალი შეხედულება პოეტის ვინაობაზე და ცხოვრების დროზე“.

რუსთაველის პიროვნებისა და მისი ნაწარმოების შესახებ ცნობების შესასწავლად ჩვეულებრივი კრიტიკული მეთოდი არ გამოდგება.

ჯერ ერთი—იგი არ არის თანამედროვე, რომლის შემოქმედებასა და პიროვნებაზე საჭირო ცნობები მოიპოებდეს, ან ისეთი მწერალი, რომლის შესახებ რამე ავტობიოგრაფიული, თვით ავტორისაგან დატოვებული ცნობები იყოს სადმე დაცული, ან რაიმე ისტორიული საბუთი მოიპოებოდეს მისი სახელით; ამას ემატება, სამწუხაროდ, ისიც, რომ არსად სხვა საბუთებში, არც პოეტის თანამედროვეთა ნაწერებში, არ აღმოჩენილა ისეთი ცნობა, რომლის მიხედვითაც, შეგვეძლოს ასე თუ ისე მკრთალი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ მის ვინაობისა და ცხოვრების დროის შესახებ.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით რუსთველის ცხოვრების შესახებ, არ ვიცით, როდის ცხოვრობდა იგი, სად, ან სად და როგორი განათლება მიიღო.

არ ვიცით არც ის, თუ რა მიზნით ან ვისთვის დასწერა მან ეს ნაწარმოები. დასასრულ,—აღორძინების ხანამდე, არც ერთს ჩვენამდე მოღწეულ წერილობით საბუთებში მისი სახელისა და გვარის ხსენებაც კი არსად არის.

ყველაფერი ეს აიხსნება იმით, რომ ავტორი და მისი ნაწარმოები შორეულ წარსულს ეკუთვნის, და რომ მის დროსა და აღორძინების ხანას შუა ზღვარად დევს მთელი ოთხი საუკუნე—ეს დაცემისა და სულიერისა და ნივთიერი კულტურის განადგურების ხანა. ამასთან კავშირი აქვს შემდეგ გარემოებასაც, რომელიც კი დევ უფრო აძნელებს პოეტის ვინაობისა და ნაწარმოების კრიტიკულად შესწავლას, სახელდობრ, ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ძველი ხელნაწერი, რომელიც XVII ე საუკ. შუა წლებს წინ უსწრობდეს: არა გვაქვს არც ერთი პოემის ტექსტის სარწმუნო ვარიანტი.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, მკვლევარს აქვს საშუალება შეადგინოს, დაახლოებით მაინც, პოეტის პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესახებ სწორი წარმოდგენა. ასე, მაგ., ჩვენ მოგვეპოება ისეთი საბუთები, როგორიცაა ძველი ქართული საერო მწერლობის ნიმუშები, თვით პოეტის ნაწარმოებში გაკვრით ნაჩვენები ცნობები მის თანამედროვე მწერალთა შესახებ, მისივე შრომა, სადაც წარმოდგენილია პოეტისავე მსოფლმხედველობა, და პოემაში დაცული რეალიები, რომლების მიხედვით შესაძლებელია პოეტის დროის შესახებ აზრის შედგენა. ეს ფაქტები შეგვიძლია შევავსოთ ზეპირ გადმოცემებით, ხელნაწერებში დაცული ბიბლიოგრაფიული მინაწერებით და თვით პოემის შესავალში დაცული ცნობებით, რომლებიც პოეტსა, რომ არ ეკუთვნოდეს, მაინც ძველის-ძველი სალიტერატურო ცნობების შემცველია.

აი ამგვარს მდგომარეობაში იმყოფება მკვლევარი, რომელსაც მიზნად დაუსახავს პოეტის ვინაობის საკითხის გაშუქება.

მოქ. პავლე ინგოროყვა, როგორც სჩანს, არ შეუშინებია არავითარ დაბრკოლებასა და წყაროების უქონლობას და თამამად შესდგომია ჩვენი პოეტის ამ პირველი ხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხების გამორკვევის საქმეს საგანი თუმცა მეტის-მეტად ძნელია, მაგრამ, პავლე ინგოროყვამ თავისი ლამაზი მოხსენებით მაინც შესძლო ერთგვარი შთაბეჭდილება მოეხდინა დამსწრე საზოგადოებაზე. თუმცა პირუთვნელად რომა ვთქვათ, მისი მოხსენება, გარდა თითო-ოროლა პოემის შემადგენლობის შესახებ ცნობებისა, უმეტეს ნაწილად უკვე ნათქვამის განმეორებას წარმოადგენდა.

პავლე ინგოროყვა სთვლის შოთას ჰერეთის ერისთავთა ჩამომავლად; მისი აზრით პოეტი უნდა ყოფილიყო ჰერეთის რუსთავის მფლობელი ან უფროსი, რის გამოც იგი ატარებდა სახელწოდებას „რუსთველს“, რაც ძველად ჩვეულებრივ მიღებული ყოფილა.

პავლე ინგოროყვას მოხსენებით, ყოფილა ორი რუსთავი: ერთი სამცხეში, სამესხეთოში, ხოლო მეორე—ქალაქი რუსთავი, რომელიც მე-XII ე საუკუნეზე ბევრად ადრე ცნობილი ყოფილა ქართლის ცხოვრებაში. მომხსენებლის აზრით, საგულვებელია, სახელწოდება რუსთველი წარმოშობილი იყოს იმ რუსთავისაგან, რომელიც უფრო ცნობილი იყო და მეტი სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა და ამგვარი კი იყო, ქართლის ცხოვრების ცნობით, მხოლოდ ტფილისის მაზრაში მდებარე ძველი ჰერეთის ქალაქი „რუსთავიო“. მომხსენებელი შეეცადა შიო მღვიმის სიგელისა, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წარწერებისა და ჯვარის მონასტრისვე ალაპების მოწმობებით, იმ აზრის გამტკიცებას, რომ შოთა იყო თამარის თანამედროვე, მის მეჭურჭლეთ უხუცესი;*) იგი იყო ბაგრა-

*) მომხსენებელს ის საყვედური თუ ეთქმის, რომ მან უგულებელ ჰყო მასზე ადრე გამოთქმული აზრები ამავე საკითხის შესახებ, რომლებიც თითქმის იგივეა, რაც მომხსენებელმა გაუზიარა საზოგადოებას. იხ. თუნდა „ვეფხ. ტყაოსნ“-ის 22 ე გამოცემის შესავალში, სათაურები „სახელწოდება რუსთველი“ და „პოეტის ეპოქა“. და აგრეთვე ნაშრომის ვახტანგ VI-ის გამოცემული ვეფხის ტყაოსნის რედაქცია, იუსტინე აბულაძის დასკვნა.

ტიონთა გვარის წარჩინებულთაგანი, ჰერეთის საერისთავოდან გამოსული, რომელსაც მიუღია საგვარეულო სახელწოდება რუსთველი ჰერეთის რუსთავის მფლობელობის დროს.

დაახლოებით ამგვარივე აზრია გამოთქმული ვეფხის-ტყაოსნის 22 ე გამოცემის შესავალში, იხ. გვ. IV—VI, III. სახელწოდება რუსთველი და სარგის კაკაბაძის გამოკვლევაში, იხ. „ვეფხის ტყაოსანი“ სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, წინასიტყვაობა. მომხსენებელი შეეხო ვეფხის-ტყაოსნის დასასრულის ხანას, სადაც მოხსენებულია „ვინმე მესხი მელექსე“ და ის აზრი გამოსთქვა, რომ იგი შოთას არ ეკუთვნის, არამედ იგი „ვინმე მესხის“ ბოლო მინაწერი უნდა იყოს. იგი უარჰყოფს ბროსესა და სხვათა მიერ განზრახ გადასხვაფერებულ, ანუ უკეთ შესწორებულ, წაკითხვად როგორიცაა: „რუსთველისა დაბისა“ ან „რუსთავისა დაბისა“ და კითხულობს ისე, როგორც იგი ვეფხის-ტყაოსნის 22 ე გამოცემაში იკითხება: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“. საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ საინტერესო მოხსენებით და მხურვალე მადლობითა და ტაშის ცემით დააჯილდოვა მომხსენებელი.

Cato.

# პატარა ფელეტონი

**აღსრულდა!**

ევროპიულ ყველა გაზეთებში ამა წლის 23 მაისს შემდეგი მოკლე ცნობები იყო გამოქვეყნებული იქ მყოფ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის პრეს-ბიუროს მიერ 24 მაისში საქართველოში მომხდარ აჯანყების შესახებ:

**„აღსრულდა!“**

„ჯერ კიდევ დილით ადრე მზე აღმოსავლეთის მაგიერ დასავლეთიდან ამოცურდა. ალბათ მზეც იზიარებს ნოე ჟორდანიას აზრს და აღმოსავლეთის კომუნისტებს დასავლეთის იმპერიალისტებს ამჯობინებს.

დიდი ხნის დაურეკაობით გაჟანგულმა ზარებმა საყდრებზე თავისთავათ იწყეს რეკა. მაგრამ სიცრუეში გამობრძნედილი ბალშევიკები კი ამტკიცებდენ, რომ ზარებს სტუდენტები და ყოფილი გიმნაზიელები რეკავდენო.

რამდენათაც ვიცით, სტუდენტები და გიმნაზიელები მუდამ ურწმუნო ატეისტებათ ითვლებოდენ,—და აბა რა საფიქრებელია, რომ ისინი ასე მოულოდნელათ მორწმუნეთ გადიქცნენ! მაგრამ ბალშევიკები რას არ მოიგონებენ, ოღონდ კი საქართველოს განთავისუფლებისთვის ხელი შეეშალათ.

მყინვარის წვერზე გამოჩნდა თეთრი გიორგი თავის თეთრ რაშზე. წინ და უკან წმინდა ნინო და თამარ დედოფალი ყავდა შემომჯდარი.

გიორგის ხელში ლახვარის მაგიერ სამფეროვანი დროშა ეჭირა, ნინოს და თამარს კი წითელი დროშები.

საქართველოს მდინარეებმა ამ დღეს ბალშევიკების ძალმომრეობის საპროტესტოთ ქვემოდან ზემოთ იწყეს დენა და ზემოდან ქვემოთ.

მიუხედავათ მოწმენდილი ცისა, აჯანყებულთა სიმხურვალის გასაგრილებლათ შხაპუნა წვიმა მოდიოდა ციდან, — განსაკუთრებით ბათუმში ქონდა ადგილი ამ მოვლენას.

არც ერთ მუშაკს ამ დღეს საქმისთვის არ მიუნებებია თავი, მაგრამ უსაქმურებმა გამოიჩინეს საქმიანობა და ღამით რამდენიმე ალაგას გამოჰკიდეს წითელი დროშის მაგიერ შავი სამგლოვიარო დროშები.

საბედნიეროთ ეს მათი შეცდომა ბალშევიკებმა გამოასწორეს და გათენებისთანავე ჩამოხსნეს ისინი.

მთელი საქართველო წარმოადგენდა გასაოცარ გაერთიანების სურათს: მღვდელი და ბერი, მონაზონი და მლოცველი, ვაჭარი და ვაჭრის შვილი, აზნაური და აზნაურის შვილი,—ერთი სიტყვით, საზოგადოების რჩეული ნაწილი მხოლოთ ერთი აზრით და ერთი სურვილით იყო გამსჭვალული: ეს იყო საქართველოს განთავისუფლება ბალშევიკებისაგან.

თვითონ ბალშევიკები კარგათ გრძნობდენ მათ წინააღმდეგ ფრონტის ასეთ გაერთიანებას და ყოველ ზომებს მიმართავდენ თავიანთ ბატონობის შესანარჩუნებლათ, მაგრამ ამაოთ. არავითარი ცდა აღარ გაუვიდათ და იძულებული გახდნენ ბოლოს მიეტოვებიათ საქართველო და შეხიზნებოდენ სომხეთს და აძერბეიჯანს.

საქართველოში შესდგა დროებითი კოალიციონური მთავრობა სოციალ-დემოკრატების, ნაციონალ-დემოკრატების და ფედერალისტების შემადგენლობით.

მთავრობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ერთხმათ პატრიახი ამბროსი, მის მოადგილეთ გიორგი არლანაშვილი რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოსულა მეტეხის ციხიდან, რადგან ბალშევიკებმა გაქცევის დროს თან წაიღეს ციხის გასაღები. ამიტომ არლანაშვილის მაგიერობას ასრულებს მღვდელ მონაზონი მამა თალაკვაძე.

საქართველოს ნამდვილი კანონიერი მთავრობა ამ დღეებში აპირობს პარიზიდან საქართველოსკენ გამგზავრებას.

წასვლას ის გარემოება აფერხებს, რომ სომხეთიდან და ადერბაიჯანიდან ჯერ კიდევ არ მოსულა ცნობა ბალშევიკების ძალაუფლების ჩამოგდების შესახებ, რასაც ყოველ წუთში მოელიან დაშნაკელები და მუსავატისტები.

როგორც კი მოვა ამის შესახებ ცნობა —სამივე მთავრობები გაემგზავრებიან ერთი გემით, რაც ბევრათ უფრო იაფი დაჯდება და ამნაირათ ნაკლები დაიხარჯება გამოქცევის დროს წამოღებული ხალხის სიმდიდრე.

როგორც საქართველოში, ისე მთელ ევროპაში დიდი აღტაცება გამოიწვია ბალშევიკების დამარცხებამ.

შემდეგი სამშვიდობო კონფერენცია იქნება მოწვეული თბილისში რომელზედაც განზრახულია მოწვევა რუსეთის ყველა მთავრობისა, გარდა ბალშევიკებისა. ამერიკამაც თანხმობა განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე.

საერთაშორისო სიხარულს მხოლოთ ერთი გარემოება ჩრდილავს: ჩვენ მოხუც ბელადს, ნოე ჟორდანიას წინ უდგას უსიამოვნო განცდა პატრიარქი ამბროსისთან შეხვედრის დროს.

მაგრამ ის არა ერთხელ ყოფილა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში და ეხლაც იმედი გვაქ, რომ წარბ შეუხრელათ გადაიტანს ისე, როგორც ამდენხანს გადაუტანია“.

ს. თ—ია.

# პარტიული ცხოვრება

**იაჩეიკებში**

**მეტყევეთა და სახალხო კვების კომიაჩეიკამ** მოისმინა რა მოხსენება ესერების პროცესის შესახებ, მიიჩნია ეს პარტია არსებითად კონტრრევოლიუციონურ პარტიათ, რომელიც საშინელ ბრძოლას აწარმოებს მუშურ გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ, აწყობს რა შიგნით აჯანყებას და ყოველგვარათ ხელს უწყობს რა ანტანტას მის მისწრაფებაში, ინტერვენციების საშუალებით ჩაახშოს პროლეტარული რევოლიუცია. ესერების პარტია ბოლოს და ბოლოს გადაიქცა ყაჩაღების ბრბოთ, რომელმაც მოაწყო რამოდენიმე მკვლელობა და თავდასხმა მსოფლიო რევოლიუციის ხელმძღვანელებზე და მთელი რიგი ექსცესებისა და ძარცვა-გლეჯისა. კომიაჩეიკა მოითხოვს სასტიკ და დაუნდობელ მსჯავრს ამ ბანდიტების შესახებ, სთვლის მათ მუშათა კლასის ყველაზე უფრო დაუძინებელ მტრებათ და მთელი თავისი აღშფოთებით ზიზღს უცხადებს მათ იმ სამარცხვინო ბოროტ-მოქმედებათა შესახებ, რომელიც მათ ჩაიდინეს რევოლიუციის ძლევამოსილი მსვლელობისა და მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

საქართველოს განსაკუთრებულ ბრიგადის ავტოგარაჟის კომიაჩეიკამ მოისმინა მოხსენება, „ესერების და მენშევიკების პოლიტიკური ფიზიონომია დღევანდელ მომენტთან დაკავშირებით“, და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: 1) მკვლელები ესერები უნდა დაისაჯონ სათანადო მკაცრი სასჯელით; 2) იაჩეიკა ზიზღს უცხადებს ამ პარტიას და აგრეთვე მათ დამცველებს—2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების მუშათა კლასის გამყიდველებს—ვანდერველდესა და კომპანიას.

**მბეჭდავთა გაერთიანებულმა კომიაჩეიკამ** მოისმინა რა მოხსენება ამხ. რუბეხისა, უპარტიო მბეჭდავთა ერთად—დამშეულთა სასარგებლოდ საეკლესიო განძეულების ჩამორთმევის შესახებ,—მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კრებას დანაშაულობათ მიაჩნია დამშეულ მუშათა და გლეხთა წინაშე ეკლესიებში და მონასტრებში ხალხის დაუფასებელ განძეულების დატოვება და ამიტომ ადგენს: მივბაძით რუსეთის მაგალითს და დაუყოვნებლივ შევუდგეთ ეკლესიების ყველა განძეულების ჩამორთმევას და მთელი ამ სიმდიდრის დამშეულ მუშათა და გლეხობის საჭიროებათათვის გამოყენებას.

—

**მარტვილის რაიონი** (სენაკ. მაზრა)

**კომპარტიის და კომკავშირის „დაახლოების დღე“.**

25 მაისს მთელ რაიონში შესდგა შეერთებული კრებები კომპარტიის და კომკავშირისა, სადაც იქმნა გაშუქებული კომკავშირის მნიშვნელობა და აგრეთვე შედულება მათი რიგებისა კომპარტიასთან ერთად, უკანასკნელის ხელმძღვანელობით და ყოველ გვარი დახმარებით. მოხსენებების შემდეგ გამოირკვა, რომ მარტვილის რაიონში კომპარტიას და კომკავშირს უმუშავნიათ მჭიდრო კონტაქტით.

შემდეგ იქნა ერთხმათ მიღებული რეზოლიუციები, რომლებიც გამოხატავენ კომპარტიის და კომკავშირის მომავალი მუშაობის გამაერთიანებელ ხაზს, როგორც ერთი მონათესავე ოჯახში მყოფნებს.

**ი. მონიავა.**

—

**2 რაიკომი იტყობინება, რომ მე-4 რაიონიდგან გადმოყვანილი ამხანაგები მიმაგრებულია შემდეგ იაჩეიკებზე:**

პასუხისმგებელ ხელმძღვანელებათ მიმაგრებული არიან შემდეგი ამხანაგები:

1) გრიგორი კუჭაიძე—ლითონის განყოფილების იაჩეიკაში.

2) გიორგი პარკაძე—ლითონის განყოფ. იაჩ.

3) მარია ორახელაშვილი ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის იაჩეიკაში.

4) ალექსანდრე სვანიძე—თამბაქოს ფაბრიკა კომეტა.

5) ნინო ოკუჯავა—თამბაქოს ფაბრიკა კომეტა.

6) სუსანა შავერდოვი—სეილანოვის თამბაქოს ფაბრიკა.

7) ალექსანდრე ერქომაიშვილი—სამხედრო ხე-ტყის ქარხნის იაჩ.

8) გალაქტიონ ვაშაძე სამხედრო ხე-ტყის ქარხნის იაჩ.

9) ბორის იაბლონოვი—ლენინის სახელობის საბავშო სახლის იაჩ.

10) ვასილ კანდელაკი—ქალაქის მილიციის გაერთიანებულ იაჩ.

11) ზავ. ტრაპაიძე—ქალაქის მილ. გაერთიანებულ იაჩ.

12) ვასილ მესხი—სააბოზო სარემონტო ქარხნის იაჩ.

13) ნიკოლოზ ამირაგოვი—სახალხო სასურსათო კომისარიატის ცენტრალურ საწყობის იაჩ.

14) ივანაშვილი—ტრამვაის იაჩეიკაში.

15) ალექსანდრე ბარხუტოვი—ტრამვაის იაჩ.

16) სტეფანე დანდუროვი—ტრამვაის იაჩეიკაში.

17) არკადი გაუმანი—არსენალის.

18) ალექსანდრე სალარიძე—არსენალი.

19) მარია ეგიკოვი—კარობ. ფაბ. იაჩ.

20) ფრანგულიანი — მიხაილოვის საავადმყოფოს იაჩ.

21) ვლადიმერ ბერაძე—ავტო რაზმის იაჩეიკაში.

22) ვიქტორ ენუქიძე—ავტო-რაზმის იაჩ.

23) ვლადიმერ ჯოიანი—სამაზრო სამხედრო კომისარიატის იაჩ.

24) ალექსანდრე კობოლაძე—სამაზრო სამხ. კომის. იაჩ.

25) ისმაილ იოვიძე—ელექტრ. გაერთიანებულ იაჩ.

26) გერასიმე პაპაიანი—საალმშენ. სან. ტეხ. განყ. იაჩ.

27. ბორის მიხაილოვი—მთავარი სახელოსნოების იაჩ.

მორიგ წევრებად იაჩეიკებზე მიმაგრებულია შემდეგი ამხანაგები:

1. კიბლერი ვლადიმერ—ლითონის განყ.

2. საყვარელიძე ევრიკა—ენფიანჯ. თამბაქოს ქარხ.

3. კარამინოვა სოფიო—ენფიანჯ. თამბაქოს ქარხ.

4. კოლაუბიაკინა ელისაბედი—ენფიანჯ. თამბ. ქარხ.

5. შნეიდერი არკადი—„კომეტას“ თამბ. ქარხ.

6. გალდაკა შუშანა—„კომეტას“ თამბ. ქარხ.

7. წივწივაძე ოლღა—„კომეტას“ თამბ. ქარხ.

8. კორგანოვი მარგარიტა— „კომეტას“ თამბ. ქარხ.

9. პეტროსიანცი ლუსია—სეილანოვის თამბ. ქარხ.

10. ანდრიაძე კონსტანტინე—ხე-ტყის სახერხი სამხ. ქარხ.

11. ჭ ვჭანიძე აგრაფენა—ლენინის სახ. საბავშო სახლის იაჩ.

12. ჯაფარიძე ბარბარე—ლენინის სახ. საბავშო სახლის იაჩ.

13. რაბინოვიჩი ევგენი—ლენინის სახ. საბავშო სახლის იაჩ.

14. შირიაევი ეკატერინე—ლენინის სახ. საბავშო სახლის იაჩ.

15. მურმან სიმონ—ქალ. მილიც. გაერთიან. იაჩ.

16. ბარონოვი ლეონიდი—გადასაზიდ საშუალებათა სარემონტო ქარხ.

17. მოროზოვი ნიკოლოზ—გადას. საშუალებათა სარემ. ქარხ.

18. პოსტაკოვსკი მიხეილი—სასურ. კომისარ. ცენტრო-საწყობი.

19. გოგინავა ვარდებული—ტრამოტის იაჩ.

20. ცინცაძე არუსიაკი—ყუთების ქარხნის იაჩ.

21. ტარაკანოვი ივანე—მიხეილის საავადმყოფოს იაჩ.

22. ხუციშვილი ნიკოლოზ—მთავარი სახელოსნ.

23. კაპჩევსკი კაზიმირი—ავტორაზმი.

24. ვაგნერ რომანოზი—ელექტრ. მუშათა გაერთიანებული იაჩ.

ყველა მიწერილი ამხანაგები ვალდებულნი არიან დაესწრონ იაჩეიკას ყოველ სხდომებს და ასრულონ ყველა პარტიული ვალდებულებანი.

ვარდა ამისა სარაიონო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა მიწერილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში შეატყობინონ რაიონულ კომიტეტის საალრიცხვო განყოფილებას თავიანთი მისამართი, თანამდებობა და ტელეფონის ნომერი.

**მე-2 რაიკომის პასუხის მგებ. მდივანი: გეგორქიანი.**

# პროვინციაში

**ჩოხატაურის რაიონი (გურია).**

**სიმშილობა:** ჩოხატაურის რაიონში, როგორც გურიის სხვა რაიონებში თავი იჩინა სიმშილობამ არის ისეთი თემი (აცანა) და კუთხეები, სადაც სრულებით არ მოიპოება სურსათი. დამშეულთა კომიტეტმა მაზრაში წარადგინა დამშეულთა სიები დახმარების აღმოსაჩენად და ჩვენც დარწმუნებული ვართ მიექცევა ჯეროვანი ყურადღება.

**თესვის კომპანია:**

სიმინდის დათესვა უკვე მოთავებულია, გასული წლის გვალვამ მცხოვრებლები საგრძნობლად შეაშინა, რის გამო ყველამ ადრე დაიწყო თესვა, დაუთესავი არც ერთი ნაკვეთი მიწა არ დარჩენილა. ჩატარებულ იქნა მთელი რიგი კრებების და მიტინგების თესვის ადრე დაწყების და კარგათ ჩატარების შესახებ, რამაც ხალხში გავლენა მოახდინა და თესვაც კარგათ ჩატარდა.

**მოსავალი** წელს კარგი უნდა დარჩეს. ჯერჯერობით ამინდები ნორმალურია თუმცა ხშირი მზიანი დარები ხელს უშლის ხეხილეულობას.

**სახურსათო გადასახადი.**

ჩოხატაურის რაიონი პირველ რაიონად ითვლება გურიაში ნატურ გადასახადში. გლეხებმა პირველ დაძახილზე შემოიტანეს მათზე კუთვნილი გადასახადის რაოდენობა და არავითარ ინციდენტს ადგილი არ ქონებია. მხოლოდ უკმაყოფილებას იწვევს ყველის, ერბოს, ბახჩეულობის, კარტოფილის, ლომის და სხვა ასეთი წვრილმალი გადასახადის აკრეფა. შემოტანილია დაახლოებით 1000 ფ. სიმინდი. მომავალში საჭიროა გადასახადის რაოდენობა მოუვიდეს თემს ან რაიონს და გამწერი კომისიის საშუალებით განაწილდეს შეძლების და მიხედვით თემის მცხოვრებლებზე, რითაც სახელმწიფო აშორდება აუარებელ ხარჯს: სიების შედგენაში, ინსტრუქტორების დაგზავნაში და სხვა ასეთებს.

**პოლიტიკური მდგომარეობა:**

გლეხების სულიერი განწყობილება საუცხოვოა მიუხედავათ ათასგვარი საშინელი და საზიზღარი ლაჩრული პროვოკაციისა, განსაკუთრებით „ვენუის“ შემდეგ, სადაც გაკოტრებულები ისტორიიდგან გარიყულები, სამარცხვინოთ გაქცეულები ხალხის ქონების გამტაცებლების—გაქცეული მთავრობები მუხლ მოდრეკით ეხვეწებოდნენ უაღრესათ რეაქციონურბურჟუაზიულ მთავრობას—საფრანგეთისას: შენი ჭირიმე მოგვიშველე, დაგვიბრუნე ტახტი უკან და ჭიათურის მადენი, ბაქოს ნავთი და სხვა სამუდამოთ თქვენთვის მოგვიცია და ჩვენს ქვეყანას თქვენს კოლონიათ გადავაქცევთო.

**სკოლების მდგომარეობა:**

თითქმის ხუთი წელიწადია ჩოხ-თში არსებობს 8 წლიანი შრომის სკოლა, რომლისთვისაც შენობა ჯერ არ არის აგებული და კერძო მცხოვრებლების მეოხებით დღემდი გავიტანეთ თავი, მაგრამ მომავლისთვის კი არ ვიცით, როგორ იქნება. ხალხი ეკონომიურად ძლიერ გაღატაკებულია და მთავრობის დაუხმარებლად ახალი შენობის აგება ყოვლად შეუძლებლათ მიაჩნია.

ამ საკითხის გარშემო 10 მაისს გაიმართა დიდი მიტინგი. მცხოვრებლების დიდი უმრავლესობა დაესწრო; მიტინგმა გაითვალისწინა რა საერთო ეკონომიური კრიზისი და სიღარიბე,—დაადგინა: თემში ოთხი ეკლესიების მაგივრად დარჩეს ორი, რომლის ძვირფასი შენობებიდგან გამოვა სასწავლებლის დიდებული შენობა.

მთავრობის დახმარების მხრივ მოითხოვენ სპეციალისტს-შენობის ამგებელს და სხვა წვრილმალ საჭირო ნივთებს, რაზედაც, ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, მთავრობა დაგვეხმარება და სისრულეში მოგვაყვანიებს ამ დიად საქმეს.

**პარტიული მუშაობა:**

რაიონში პარტიული მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს: იაჩეიკები 15 დღეში ერთხელ იკრიბებიან და თვიურად იმართება შეერთებული რაიონული კრებები.

აგიტ-პროპაგანდის საქმე კარგს ნიადაგზეა დაყენებული ადგილობრივ მოგვეპოება ისეთი ძალები რომლითაც კმაყოფილდება რაიონი.

ხშირათ იმართება წარმოდგენები.

20 მაისს დადგმულ იქნა წარმოდგენა „მოტყუებულნი“ და „ოინბაზი“. რუსეთიდგან ახალ დაბრუნებულ ამხ. დათიკო პატიეიშვილის სასარგებლოთ, რომელმაც მთელი თავისი ენერგია და ჯანმრთელობა შესწირა დიად რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და მშვენივრადაც ჩატარდა.

**მ. შუაღელისპირელი.**

# წერილები რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოვაცხადო შემდეგი: მე მართალია ვირიცხებოდი მენშევიკების პარტიაში, მაგრამ დავრწმუნდი რა რომ ის იყო აშენებული კერძო მქონებელთა და ვაჭარ ჩარჩთა ნაციონალურ—შოვინისტურ და ერთა ერებზე გადამკიდებელ ხალხის მიერ, ამიტომ გამოვდივარ ამ მუშის და გლეხის მოღალატეთა პარტიიდან, და ვუცხადებ თანაგრძნობას კომუნისტებს, ვინაიდან მათი პარტია ვცანი მუშათა კლასის ჭეშმარიტ დამცველათ. აგრეთვე მოუწოდებ ყველა მშრომელთ შეუწყონ ხელი საბჭოთა ხელისუფლებას, ყველა ის პირნი, ვინც ამას ხელს შეუშლის სხვა და სხვა მიზეზებით, უნდა ჩაითვალონ მუშათა და გლეხთა მოღალატეებათ და მათი სისხლის მსმელებათ.

რკინის გზის მთავარი სახელოსნოს მუშა **გიორგი ივანეს-ძე ხტვილია.**

— —

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კომუნისტში“ გამოაცხადოთ, რომ მე გამოსული ვარ საქართველოს სოციალ დემოკრატიული მუშათა (მენშევიკების) პარტიიდან.

**მიხეილ იოსების ძე ტაბატაძე.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება № 26.**

**საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**თემის აღმასრულებელ კომიტეტებში სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის წევრების მივლინების წესის შესახებ.**

რათა საქართველოს მშრომელ გლეხობასთან ნამდვილი და მუდმივი კავშირი იქნეს დამყარებული და იგი ჩაება საბჭოთა წესწყობილების გასამტკიცებელ მუშაობაში, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სამაზრო აღმასრულ. კომიტეტებს თავის წევრთა ერთი მესამედი ნაწილი წარავლინონ თემთა აღმასრულებელ კომიტეტებში მუდმივი ადგილობრივი მუშაობისა, თემთა აღმასრულებელ კომიტეტების ხელმძღვანელობისა და მათთვის საბჭოთა ხელისუფლების მიზნების განმარტებისათვის.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. ივნისის 6.

ტფილისი—სასახლე.

—

**დადგენილება № 14.**

**შრომის სახალხო კომისარიატისა სტუდენტ აგრონომებისათვის სამსახურის შენახვის შესახებ.**

1. 1922 წლის ზაფხულში სავალდებულო პრაქტიკულ სამუშაოს შესასრულებლად სტუდენტ-აგრონომებს ვისაც კი რაიმე სამსახური აქვს რომელსამე წარმოება დაწესებულებაში, ანუ წითელ ლაშქარში, მიეცეთ შვება დღეიდან ნოემბრის 1 მდე გამბით ან დრო გამოშვებით, გარნა არა უმეტეს 75 დღისა.

2. შვების დროს სტუდენტ აგრონომებს შეენახოთ სათანადო წარმოება დაწესებულებაში სამსახური, ჯამაგირის ნახევარი და ულუფა.

3. პირველ მუხლში აღნიშნულ მიზნისთვის შვების მისაღებად ყველა სტუდენტი-აგრონომი ვალდებულია დაწესებულება წარმოებაში წარსადგენად აილოს სასწავლებლის ადმინისტრაციისაგან მოწმობა, სადაც აღნიშნული იქნება მისი უფლება სავალდებულო პრაქტიკულ მუშაობაზე წასვლისა და ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დრო (სამუშაოს დასაწყისის და ბოლოს თარიღი)

4. სასწავლებლიდან ასეთ მოწმობის წარდგენისათანავე დაწესებულება-წარმოების ადმინისტრაცია მოვალეა გაანთავისუფლოს სამსახურიდან თავის თანამშრომელი (სტუდენტ-აგრონომი) იმ ვადით, რომელიც ნაჩვენები იქნება სასწავლებლის მოწმობაში და ამის შესახებ წერილობით აცნობოს შრომის სახალხო კომისარიატს.

შენიშვნა: დაწესებულება-წარმოების ადმინისტრაცია უფლება არ შვებაზე უარი უთხრას სტუდენტ-აგრონომებს, თუ უკანასკნელნი სწავლებლიდან ასეთ მოწმობას წარადგენენ.

5. დაწესებულებიდან შვების ღებისათანავე და აგრეთვე შვების გათავებისას სამსახურში გამოცხადების წინასწარ სტუდენტი აგრონომი მოვალეა გამოცხადდეს სარევისიო კომისარიატის შრომის ქეს განყოფილებაში სათანადო ბუთებითურთ.

6. შვების გათავებისათანავე, სტუდენტი-აგრონომი სამსახურში გამოცხადდა რაიმე არა პატივსადები მიზეზის გამო და ამის თაობაზე ვის ადმინისტრაციაც წინასწარ გააფრთხილა, უკანასკნელს უფლება აქვს დაუყონებლივ დაითხოვოს სამსახურიდან, რაიც უნდა ეცნობოს შრომის სახალხო კომისარიატს.

7. დადგენილება ესე ვრცელდება სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტთა სტუდენტებზე და მიწათ-მოქმედების კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო კურსების მსმენელებზე.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**

საქმეთა მმართველი **მ. ბერიშვილი.**


**ხარჯთაღრიცხვა [illegible]**

# საქართველოს უმაღლესი სამეურნეო საბჭო

ამით აცხადებს, რომ

**ცენტრალურ საწარმოო განყოფილების ბინაზე**

(პუშკინის ქუჩა № 3)

15 ივნისს 12 საათზე დანიშნულია იჯარით გაცემა

# 300.000 ფუთის ხის ნახშირის დამზადებისა და თახის თუჯის ქარხნისათვის.

მოიჯარადრეები, რომლებიც ისურვებენ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულნი არიან 14 ივნისამდის წარადგინონ ზემოაღნიშნულ დაწესებულების კანცელარიაში დახურული კონვერტები თავიანთი პირობებით.

დაწვრილებითი პირობების გაცნობა შეიძლება ყოველ დღე 11—2 საათამდის ცენტრალურ საწარმოო განყოფილების კანცელარიაში.

3—2

# ქალ. თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის

**გადასახადთა ბიურო აცხადებს, რომ 11 ამა ივნის დღით 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოჩამოთვლილ სასტუმროების:**

| | | |
|---|---|---|
| 1. **„ბომონდი“** | . | მიხეილის პრ. № 10. |
| 2. **ანატოლია ბაქო** | . | აბანოს ქ. № 21. |
| 3. **ვარსკვლავი** | . | ვარანცოვის ქ. № 37. |
| 4 **ვლადიკავკაზ** | . | 19 თებერვლის ქ. 59. |
| 5 **ბრიტანია** | . | ოლღას ქ. № 42. |
| 6 **შირაზი** | . | ბნელი რიგი № 24. |
| 7. **მოსკვა** | . | ეკლესიის ქუჩა. |

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მე 11 ოთახში საჯარო მაგიდის გამგე ამხ. დარახველიძესთან.

2—1

(ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი) ტეხნიკუმის

# მათემატიკის მასწავლებელი

ივ. მ. მაჩაიძე ამზადებს: 1) ტეხნიკუმის 1, 2, 3, 4, კლასში შესასვლელად. ბავშვებს—შრომის სკოლაში, 3, 4, 5, 6, 7, 8 ჯგუფში. ქალაქის საბჭოთა ინსტიტუტში შესასვლელად, ატესტატის მოწმობის და მასწავლებლის ხარისხის მისაღებად, განმეორებითი გამოცდებზე: ალგებრაში, გეომეტრიაში, ტრიგონომეტრიაში და ენებში. პლეხანოვის და ალექსის კუთხე, № 25—5. ნახვა 9—12 ს. სად. 3—6 ს.

# გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გრძელდება ხელის მოწერა თბილისის ყველა გაზეთებზე ივნისისათვის. ხელის მოწერის ფასი იგივეა რაც იყო წინად. ხელის მოწერა შეიძლება ყოველ დროს წლის დამლევამდე, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ხელის მოწერის ფასმა აიწია, დასამატი ღირებულებაც შემოტანილ უნდა იქნას. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი თვეებისათვის. იმ ხელის მომწერთ, რომელნიც ხელის მოწერის ფასს არ შემოიტანენ 30 მაისამდე, გაზეთის მიწოდება შეუწყდებათ.

# განცხადება

სამოქალაქო სასაკლაოებზედ სწარმოებს გაცემა ყინულისა—ადგილობრივ 30.000 მან. ფუთი და მიტანით 45.000 მანეთი ფუთი.

მსურველებმა ყინულის შესაძენად უნდა შეიტანონ განცხადება სასაკლაოების კანტორაში ან თბილისის კომუნალურ მეურნეობის სამრეწველო განყოფილებაში (ოთახი № 42).

3—3

საჭიროა საჩქაროთ ამერიკული სისტემის

# შკაფი-რეგისტრატორი

მსურველებმა მიმართოს სასახლეში, ოთახი № 7.

# გაზეთის ტრესტი

## რკინის გზების კიოსკების განყოფილება

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

გაიხსნა კიოსკები რკინის გზის შემდეგ სადგურებზე:

**თბილისი, მიხაილოვი, შორაპანი, ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ქუთაისი, ფოთი, ბათომი.**

სწარმოებს გაყიდვა: ადგილობრივ და სატახტო ქალაქების გაზეთების **და ჟურნალების, ლიტერატურულ წიგნების, საკანცელარიო და სხვა ნივთების.**

ამ დღეებში გაიხსნება კიოსკები აზერბეიჯანსა და სომხეთში.

მთავარი კანტორა იღებს გასავრცელებლად ყოველგვარ გამოცემას.

გაზარზე გავლენის მოსახდენად და მასიურად მოთხოვნილების საგნების გაიაფების მიზნით

# სახალხო სასურსათო კომისარიატი

ამ კვირის ბოლოს, სასახლის ქუჩაზე ქირარდოვისეულ შენობაში

# ხსნის მაღაზიას

რომელსაც ექნება შემდეგი განყოფილებანი:

**ფართლეულისა, ფეხსაცმელისა, გალანტერიო საგნებისა, ჭურჭლეულისა და ფართო მოთხოვნილების საგნებისა.**

საქონელი გაიყიდება ყველაზე.

პროფკავშირთა წევრებს საქონელი ფასდაკლებით დაეთმობათ.

4—1